# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№34 (10037) 2026 წლის 23 მარტი, ორშაბათი


# გვიყვარხარ, პატრიარქო!



**ბართლომეოს I, მსოფლიო პატრიარქი:**

## მართალნი მკვდარნიც ცოცხლობენ!

**ბიძინა ივანიშვილი:**

## ახლაც, როგორც მაშინ, „ეპოქა გათავდა დიდი...“

**მიხეილ ყაველაშვილი:**

## ქართველი კაცი არ შეიცვლება, ჩვენი რეალური სახე სწორედ აქ არის!..

4

**ირაკლი კობახიძე:**

## ...დაობლების მძაფრი განცდა!

5

**შალვა პაპუაშვილი:**

## უფალმა ილია მეორე მოავლინა მარტოკაცად და უბრუნდება მთელი ერით — ასე ხილულად, ასე ერთად....

**ზაალ ბოტკოველი:**

## განწირული... წმინდანო-ბისთვის

8

**ვიქტორ ორბანი:**

## ყველაზე მამაცი ერი ქართველი ერია!

2

## ევროპული დემოკრატია კვდება!

**თეიმურაზ ქორიძე:**

## რაღაა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია!..

8

**უმეცრება და ბოროტება მარადიულია, როგორც სიკეთე და სიბრძნე**

## დენის გაძვირებას უკვე გადაჭრით ითხოვენ!

11

## ქართული ფარმაკოქიმიის დიდოსტატის ეთერ ქემერტელიძის 100 წლისთავი



6 7

### წარმატებებს გისურვებთ!

**გულწრფელად ვულოცავ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ღირსეულ საზოგადო მოღვაწეს, ქვეყნის სიყვარულში დამაშვრალ, ადამიანებისადმი კეთილგანწყობით უხვად აღჭურვილ აკადემიკოსს ეთერ ქემერტელიძეს დაბადებიდან 100 წლისთავს.**

ქალბატონ ეთერის უდიდესი ამაგი მიუძღვის მცენარეული ბიოლოგიის კვლევაში, მან გაამდიდრა ფიზიოლოგიურად აქტიური ქიმიისა და ბიოლოგიის თეორია, ჩამოაყალიბა ფიტოქიმიკოსთა სკოლა. უდიდესი ამაგი დასდო ფარმაკოლოგიის განვითარებას, შექმნა რამდენიმე ათეული სამკურნალო პრეპარატი.

**მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ ასი წლის ეთერ ქემერტელიძეს.**

**როინ მეტრეველი,**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE




ირაკლი კობახიძე:

# მადლობა ვიქტორ ორბანს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის!

**საქართველოსთვის უნგრეთი მხოლოდ პარტნიორი არ არის, ეს არის ქვეყანა, რომელთანაც გვაკავშირებს მჭიდრო და მუდამ მზარდი ურთიერთობა, საერთო ღირებულებებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ბუდაპეშტში, კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე (CPAC) სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოსა და უნგრეთს შორის პარტნიორობა მრავალ სფეროში განაგრძობს განვითარებას და მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდება.

**„დასასრულს, მინდა, ხაზი გავუსვა, რამდენად აფასებს საქართველო ამ უმშვენიერეს ქვეყანასთან, უნგრეთთან მეგობრობასა და პარტნიორობას. საქართველოსთვის უნგრეთი მხოლოდ პარტნიორი არ არის, ეს არის ქვეყანა, რომელთანაც გვაკავშირებს მჭიდრო და მუდამ მზარდი ურთიერთობა, საერთო ღირებულებებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. ჩვენი პარტნიორობა მრავალ სფეროში განაგრძობს განვითარებას და დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო წლებში ის კიდევ უფრო გაძლიერდება.**

**სამწუხაროდ, ბრიუსელის ბიუროკრატია, რომელიც მოკლებულია სუვერენიტეტს, ვერ გუობს ვერცერთ სუვერენულ მთავრობას, რომელიც საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტრადიციულ ღირებულებებს იცავს. მათთვის მიუღებელია, ეწვიო ამ ქვეყანას და იხილო ავთენტური უნგრეთი, იმ მრავალი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, რომლებმაც არსებითად დაკარგეს საკუთარი იდენტობა. მათთვის მიუღებელია, რომ უნგრეთი, თავისი პატრიოტული მთავრობის წყალობით, ეფექტიანად იცავს თავს გენდერული პროპაგანდისგან, მიგრაციისგან და სხვა მანკიერებებისგან, რაც თანამედროვე ევროპისთვის ეგზისტენციალურ პრობლემას წარმოადგენს“,** – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა გამოთქვა იმედი, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ბრიუსელის ბიუროკრატიის უხეში ჩარევის გარეშე გაიმართება.

**„ვიმედოვნებთ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც გადამწყვეტია არა მხოლოდ უნგრეთისთვის, არამედ ევროპის მომავლისთვისაც, გაიმართება ბრიუსელის ბიუროკრატიის უხეში ჩარევის გარეშე. დემოკრატიამ უნდა სძლიოს გარე ჩარევას უნგრეთის დემოკრატიულ არჩევნებში.**

**მსურს, პირადად გადავუხადო მადლობა პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის. ის არის თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მებრძოლი; მისი სიტყვები და ქმედებები მუდმივად გამოხატავს პატივისცემასა და ზრუნვას ქართველი ხალხისადმი. რომ არა პრემიერ-მინისტრ ორბანის ძლიერი ლიდერობა და მისი გაბედული ბრძოლა ბრიუსელის ბიუროკრატიის წინააღმდეგ უნგრეთის ეროვნული ინტერესების დასაცავად, საქართველოსთვის ბევრად უფრო რთული იქნებოდა საკუთარი დემოკრატიის, ეროვნული სუვერენიტეტისა და იდენტობის დაცვა. ვიქტორ ორბანის ლიდერობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უნგრეთისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის. ამიტომ ვუსურვებ პრემიერ-მინისტრ ორბანს ხანგრძლივ მოღვაწეობას უნგრეთის ლიდერის პოზიციაზე.**

**დასასრულ, მსურს, წარმატებები ვუსურვო მსოფლიოს ყველა იმ ადამიანს, ვინც ერთგულია საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის, ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებისა და მოქალაქეთა დემოკრატიული არჩევანის პატივისცემის იდეისადმი ამ მზარდი იდეოლოგიური ზეწოლის პირობებში“,** – განაცხადა პრემიერმა.




ვიქტორ ორბანი:

# მეგობრებო, ჩვენ შორისაა ჩემპიონი პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე... დღეს ევროპაში ყველაზე მამაცი ერი ქართველი ერია!

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ბუდაპეშტში მიმდინარე კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის შესახებაც ისაუბრა.**

როგორც ორბანმა აღნიშნა, **დღეს ევროპაში ყველაზე მამაცი ქართველი ერია.**

**„მეგობრებო, ჩვენ შორისაა კავკასიელი პატრიოტი, ჩემპიონი პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე. მისი ქვეყანა რუსი დათვის ხახაშია. ევროკავშირის უწყვეტი შანტაჟის პირობებში და ლიბერალების ასევე უწყვეტი ძირგამომთხრელი საქმიანობის მიუხედავად, ის არის საქართველოს სუვერენიტეტის მცველი! დღეს ევროპაში ყველაზე მამაცი ერი ქართველი ერია“,** – განაცხადა **ორბანმა.**

დონალდ ტრამპი:

# ვიქტორ ორბანისთვის მხარდაჭერა ჩემთვის დიდი პატივია!

**ვიქტორ ორბანი აგრძელებს გამარჯვებას იმაში, რაც ჩვენ ყველას გვაერთიანებს, მადლობა ყველას კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე საღი აზრისა და კონსერვატიული პრინციპებისთვის,** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** ბუდაპეშტში მიმდინარე კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე ვიდეომიმართვისას განაცხადა.

მისივე თქმით, აშშ და უნგრეთი აჩვენებენ გზას განახლებული დასავლეთისკენ.

**– მინდა, პრემიერ-მინისტრს, ჩემს დიდ მეგობარს, ვიქტორ ორბანს, რომელსაც მხარს ვუჭერ, ვუსურვო საუკეთესო სურვილები. მხარს ვუჭერ მის არჩევნებს, რომელიც მალე გაიმართება. მას ჩემი სრული და ყოვლისმომცველი მხარდაჭერა აქვს. პრემიერ-მინისტრი ძლიერი ლიდერია, რომელმაც მთელ მსოფლიოს აჩვენა, რა არის შესაძლებელი, როდესაც იცავ შენს საზღვრებს, შენს კულტურას, მემკვიდრეობას, სუვერენიტეტსა და ღირებულებებს. ის ფანტასტიკური ადამიანია და მისი მხარდაჭერა დიდი პატივია. მე მხარი დავუჭირე მას წინა ჯერზე, როდესაც გაიმარჯვა და ფანტასტიკური სამუშაო გასწია თავისი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით**




**საზღვრების საკითხებში, სადაც მიუხედავად დანაშაულებისა და ყველა პრობლემისა, რომელიც სხვა ქვეყნებს აქვთ, თქვენ ეს პრობლემა არ გაქვთ. თქვენ გაქვთ ძალიან, ძალიან ძლიერი საზღვრები და ამაზე პასუხისმგებელი ის არის. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ გაიმარჯვებს დიდი უპირატესობით.**

# ევროპული დემოკრატია კვდება!

**გულწრფელად ვთქვათ: ევროპული დემოკრატია კვდება. ის კვდება ეკონომიკაში წარუმატებლობის გამო, კვდება პოლიტიკური ცენზურის გამო, რადგან სოციალური ქსელების ცენზურისთვის ბრიუსელს აქვს სწრაფი რეაგირების არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი,** – ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** ბუდაპეშტში, კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე (CPAC), სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, დემოკრატია ასევე კვდება, რადგან ბრიუსელი პირდაპირ ერევა ეროვნულ არჩევნებში და აფინანსებს ფედერალისტურ ძალებს. მისივე თქმით, ბოლო 20 წლის განმავლობაში ბრიუსელმა ევროპა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომლის შენარჩუნებაც თავად ბრიუსელისთვის შეუძლებელია.

**„მიგრანტები, ტერორისტები, მუქარები, დანაშაული, ანტისემიტიზმი, ანტიქრისტიანობა და ეკონომიკური ვარდნა, სწორედ ეს მოიტანა მათმა პოლიტიკამ. „მწვანე სიგიჟემ“ და მწვანე შეთანხმებამ დააზარალა ევროპული ინდუსტრია, ქარხნები ერთმანეთის მიყოლებით იხურება. მთელი სექტორები ქრება ევროპიდან, ხოლო მილიონობით ადამიანს სამუშაო ადგილების დაკარგვის საფრთხე ემუქრება. ევროპა ბრიუსელისთვის ჯერ კიდევ არ არის პირველ ადგილზე, მათთვის პირველია უკრაინა. ბრიუსელი არ წარმოადგენს ევროპელი ხალხის ინტერესებს. აშშ-ს სურს მშვიდობა, ხოლო ბრიუსელს და კიევს – ომის გაგრძელება. ეს სრული სიგიჟეა“,** – აღნიშნა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა.

# ევროკავშირის ლიდერები ქმედითუუნარონი აღმოჩნდნენ!

**ევროპის კარიბჭესთან მიმდინარე ორმა ომმა დაჩრდილა ევროკავშირის ლიდერების 12-საათიანი სამიტი – სხვადასხვა მიზეზის გამო, ისინი უფრო პარალიზებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ქმედითუნარიანნი, რათა რომელიმე მათგანის მიმართ რაიმე არსებითი ღონე ეხმარათ,** – წერს გამოცემა POLITICO.

იშვიათად ყოფილა ბლოკის ასეთი აშკარა უუნარობა, დაიკავოს წამყვანი როლი საერთაშორისო საქმეებში. გერმანიის კანცლერ ფრიდრიხ მერცს, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონსა და იტალიის პრემიერ-მინისტრ ჯორჯია მელონის შორის – რომლებიც მსოფლიოს 10 უმსხვილესი ეკონომიკიდან სამს წარმოადგენენ – და დანარჩენ 24 დამსწრე ლიდერს შორის, მათ მხოლოდ ის შეეძლოთ, რომ ერთმანეთში ეპაექრათ, ან მხოლოდ სიტყვებით შემოფარგლულიყვნენ მაშინ, როცა დაბომბვები, სარაკეტო იერიშები და მკვლელობები გრძელდებოდა.

**„ამ მეტად მღელვარე დროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ისე როგორც არასდროს, გადამწყვეტია საერთაშორისო, წესებზე დაფუძნებული წესრიგის დაცვა“,** – განაცხადა ბრიუსელში გამართული შეხვედრის თავმჯდომარემ, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა **ანტონიო კოშტამ** ჟურნალისტებთან საუბრისას. **„ალტერნატივა არის ქაოსი. ალტერნატივა არის ომი უკრაინაში. ალტერნატივა არის ომი ახლო აღმოსავლეთში“.**

**ირანთან მიმართებით, ლიდერებმა აღმოაჩინეს, რომ მათ არც ბერკეტები გააჩნიათ და არც ნება რაიმე მნიშვნელოვანი ინტერვენციისთვის. უკრაინის საკითხზე კი, რუსეთის სრულმასშტაბური შეჭრიდან ოთხ წელზე მეტი ხნის შემდეგ – კონფლიქტში, სადაც მათ აქვთ როგორც ბერკეტები, ასევე ნება – მათ მაინც ვერ შეძლეს შიდა განხეთქილების დაძლევა, რათა კიევისთვის 90 მილიარდი ევროს გამოყოფა დაემტკიცებინათ.**

**„ირანის კონფლიქტში ჩართვის არანაირი სურვილი არ არსებობდა მოლაპარაკების მაგიდასთან“,** – განაცხადა ევროპის მთავრობის მაღალჩინოსანმა, რომელმაც, ამ სტატიაში ციტირებული სხვა პირების მსგავსად, ანონიმურობის პირობით ისაუბრა დახურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკებების შესახებ. სამი ოფიციალური პირის ინფორმაციით, გერმანიის კანცლერმა **მერცმა** უკმაყოფილებაც კი გამოთქვა იმის გამო, რომ ირანზე ფოკუსირება ევროპის დასუსტებული ეკონომიკის სტიმულირებისკენ მიმართული ღონისძიებებისგან ყურადღების გადატანის საფრთხეს ქმნიდა.

მოლაპარაკებების დასასრულს ევროკავშირის ლიდერები გამაფხიზლებელ დასკვნამდე მივიდნენ: **ევროპას მოვლენების ფორმირებისთვის არც საკმარისი ძალა შესწევს და არც სურვილი გააჩნია.**

**ახლო აღმოსავლეთი ჩვენზე დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ ვართ კი ჩვენ ამ თამაშის მონაწილენი?“** – იკითხა ევროკავშირის ოფიციალურმა პირმა, რომელიც ლიდერების დისკუსიებს ესწრებოდა. **„ისინი ცდილობენ ამ დებატებში საკუთარი ადგილი იპოვონ; ჩვენ გვაქვს უამრავი განცხადება და პოზიცია, მაგრამ აქვთ კი ევროპელებს რაიმე როლი ამ პროცესის გადასაჭრელად?“**




# ნათელში იყოს!

საქართველომ, ქართველმა ხალხმა უდიდესი, მოუშუშებელი ტკივილი მიიღო... აღესრულა საყოველთაო სიყვარულით მოსილი დიდი პატრიარქი; პატრიარქი სრულიად საქართველოსი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II: „ცამან მოსტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა – ძილი, ბრძენთა – გონიერება, ერთა – გვირგვინი... სტიროდეთ ქვეყნისა დიდებასა“. დაქვრივდა საქართველოს საპატრიარქო ტახტი, დამწუხრდა ერი, თალხით შეიმოსა ქვეყანა...

ილია II საქართველოს 181-ე მღვდელმთავარი იყო. ამ ფრიად განსწავლულმა და უნიკალურმა პიროვნებამ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მართლმადიდებელი სამოციქული ეკლესია, ახალი ძალა მისცა და სიწმინდის სული შთაბერა წინამორბედ კათოლიკოს-პატრიარქთა ტრადიციებს.

პირადად ჩემთვის და ჩემი დიდი ოჯახისთვის უმძიმესი დანაკლისია ამ ღირსეულ პიროვნებასთან განშორება. ამას განაპირობებს დიდი პატრიარქის კეთილი, ახლო დამოკიდებულება ჩემდამი და ჩემი ოჯახისადმი. ჩამოთვლა სიკეთეებისა ძნელია. პატრიარქისადმი სიყვარული კი დაუშრეტელი და მარადიულია.

ორმოცდაათწლამდე პერიოდი საპატრიარქო ზეობაში იყო და არ დარჩენილა არცერთი საქმე დიდი თუ პატარა, საეკლესიო თუ სახელმწიფო,მისი მზრუნველი ხელი არ დასტყობოდეს. არ დარჩენილა ხელოვნების არცერთი დარგი დიდ პატრიარქს რომ თავისი წვლილი არ გაეღოს. ილია II კოლოსალური ძალით, შრომით ეთაყვანებოდა სამშობლო მიწას.

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს ჰყავდა დიდი ილია – მამულის, ენისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მებრძოლი. XX საუკუნის პირველ ორმოცწლეულში დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თავდადებული შრომით სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითი აჩვენა. გასული საუკუნის ბოლო ორმოცწლეულსა და XXI საუკუნის პირველ მეოთხედში გვყავდა პიროვნება, ილია II, რომელმაც ღირსებით გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის გზა და ხალხის ერთგულებით გამოირჩა.

დღეს ადამიანები, ქართველი საზოგადოება, ცხარე, ალალი ცრემლით დასტირის სიკეთით სავსეგავლილს, 90 წელს გადაცილებულ ქრისტესმიერი სიყვარულით სავსე ადამიანს – ილია II-ს.

მარადიულ ნათელში იყოს ჩვენი დიდი პატრიარქის უკვდავი სული!.

დიდი პატრიარქისთვის მარად მლოცველნი

**ლუიზა და რონ მეტრეველები**

# დრომ მას დიადემა კრძალვით შეუხვია...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის პიროვნებისა და ღვაწლის უაღრესად მრავალმხრივი საკაცობრიო განზომილება დანაწევრებას ვერ გუობს; განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ხდება გაცვეთილი, გახუნებული, მწირი ლექსიკით. ამიტომ ვამჯობინებდი მისი შეფასებისას პერიფრაზით დავსესხებოდი ამჯერად უკვე ქართული პოეზიის უკვდავი პატრიარქის, გალაკტიონის ხატოვან ფრაზას:

„...დრომ მას დიადემა კრძალვით შეუხვია...“

ეს საკმაოდ ღირსეული მისაგებელი იქნებოდა ისტორიული მნიშვნელობის დიდი ქართველი სასულიერო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწის, ასევე შემოქმედის ეპოქალური დამსახურების არდავიწყების მარადიულ გზაზე.

მაშ, ოსანა საქართველოს ჭეშმარიტი სულიერი წინამძღვრის გზას და მის ერთგულად მიმდევარ ეროვნულ ძალებს!

**მინდია უგრეხელიძე,**

21 მარტი, 2026 წელი

# მარადიული ხსოვნა

## „ბაგრატოვანთა სახლი“ ღრმა მწუხარებით ეხმიანება უწმინდესისა და უნეტარესის აღსრულებას

საქართველოს ეკლესიამ და ერმა დაკარგა სულიერი წინამძღოლი, რომლის ღვაწლი გამორჩეული იყო რწმენის სიმტკიცით, სიბრძნითა და უანგარო მსახურებით. მისი მოღვაწეობა განუყოფლად დაუკავშირდა ქვეყნის სულიერ გაძლიერებას, ეროვნული ერთიანობის განმტკიცებასა და ისტორიული ფასეულობების დაცვას.

„ბაგრატოვანთა სახლი“, რომლის ისტორიაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ეკლესიასთან, განსაკუთრებული პატივითა და ტკივილით იხსენებს მის უწმინდესობას. მისი სახელი და ღვაწლი დარჩება ჩვენი ერის სულიერ მემკვიდრეობაში.

ვუსამძიმრებთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, სამღვდელოებასა და სრულიად ქართველ ერს.

უფალს შევავედრებთ მისი სულის უკვდავებას.

**„ბაგრატოვანთა სახლი“**

# გმადლობთ, ჩვენო პატრიარქო!



## სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა

**სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი უღიდეს მწუხარებას გამოთქვამს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის გარდაცვალების გამო და დარბაზის სახელით თანაგიგრძნობთ მთელ საქართველოს.**

**ყოვლისშემძლე უფალმა, ქართულ მართმადიდებელ ეკლესიას უბოძა პატრიარქი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მის კეთილმოწყობაზე დაუღალავ ზრუნვას მიუძღვნა.**

1977 წელს პატრიარქის აღსაყდრების დროს საქართველოში 60 -მდე ეკლესია-მონასტერი ფუნქციონირებდა. მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ დაგვიტოვა 2000-ზე მეტი გამართული მოქმედი ეკლესია-მონასტერი; ამჟამად 5000-ზე მეტი სასულიერი პირია საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში. ასევე ფუნქციონირებს სასულიერო სემინარია, აკადემია და საპატრიარქოს უნივერსიტეტი; სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რომელიც საუკუნის მშენებლობად არის აღიარებული, პატრიარქ ილია II-ს ლოცვა-კურთხევით აშენდა. თავისი კეთილშობილებით, მსახურებითა და განსჯის განსაკუთრებული ნიჭით განსვენებულმა მოიპოვა გამორჩეული ავტორიტეტი და ღრმა პატივისცემა არა მხოლოდ საეკლესიო, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

ერთმორწმუნე საქართველოში 50 000 ბავშვის ნათლიამ ნამდვილი სულიერი მამის ადგილი დაიკავა კეთილმსახური ქართველი ერისათვის, რომელიც ხედავდა,რომ მასში იყო „ღვთის სიბრძნე“.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი, დიდი ეპოქა შექმნა. იგი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. „დიდნი საქმენი“, რომელნიც მან აღასრულა, ეპოქას ქმნის.

მსოფლიო მართლმადიდებელ წინამძღოლთა შორის ასაკით ერთ-ერთ უხუცესს, თავისი ბრძნული სიტყვით, მდიდარი გამოცდილებით, ღრმა ეკლესიურობით და მაღალი ავტორიტეტით მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა წმიდა ღვთის ეკლესიათა მშვიდობისა და კეთილდღეობის შენარჩუნებაში.

დასრულდა ეპოქა დიდი, რომელსაც ილია II-ს ეპოქა ეწოდება. ღვთივგანისვენა ერთ-ერთმა უდიდესმა ქართველმა, ეპოქალურმა ადამიანმა,დიდმა აღმაშენებელმა საქართველოს ეკლესიისა.

მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ყოველი ჩვენგანის, ყოველი ქართველის გულში დატოვა უდიდესი მადლი, სითბო, სიყვარული და უდიდესი მაგალითი ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრებისა.

**ილია II იყო კათოლიკოს-პატრიარქი ქვეყნისა,სადაც დაფლულია უფლის კვართი, რომელი ქვეყანაც წილად ხვდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს,იმ წინაპართა შთამომავალი, იმ ქვეყანაში დაბადებული და აღზრდილი, რომელსაც ქრისტიანობა უქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და წმიდა ნინომ.**

ტოტალური ეპოქის პერიოდში, როდესაც რელიგიურობა,,წარსულის მავნე ნაშთად“ ითვლებოდა, რომლის საბოლოოდ ამოძირკვა კომუნისტური რეჟიმის მიზანი იყო, სწორედ ასეთი რელიგიური წნეხის პირობებში ერგო ილია II-ს პატრიარქის ტახტი და ეს მძიმე ჯვარი ატარა 49 წელი. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვერ ვხედავთ იმ მოწამებრივ მსახურებას, მის უძილო, ლოცვით გათენებულ ღამეებს, მის ცრემლებსა და ტანჯვას, იმ მძიმე ჯვარს, რომელსაც ის მხრებით დაატარებდა.

პატრიარქის სახით საქმე გვაქვს უნივერსალურ პიროვნებასთან, საოცარი უბრალოებისა და მოკრძალების, ბრძნული, ზომიერების და მოყვასისადმი სიკეთით აღსავსე. ოლიმპიური სიმშვიდე, პიროვნული ხიბლი, სიბრძნე, კეთილგანწყობა, სათქმელის დინჯი, დარბაისელი მანერა გადამდებია. მის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1990 წელს, როცა მსოფლიოს საპატრიარქომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა. პატრიარქის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები ყოველთვის იყო სიბრძნისა და ქვეყნის მომავალზე ფიქრის ჭეშმარიტი გამოხატულება.

**კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა საგვარეულო გაერთიანებათა წარმოქმნის პროცესი და მისი ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით 2011 წლის 3 ივლისს დაფუძნდა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, სადაც გაერთიანებულია დალოცვილი ქართული გვარების უმრავლესობა და საქმიანობას ეკლესიის წიაღში ახორციელებს.**

უფალო, კარი ფართოდ გააღე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მობრძანდება.

მისი ხსოვნა დარჩება ჩვენს მეხსიერებაში; ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით მის მამობრივ მზრუნველობას და სიყვარულს. ის იყო, არის და იქნება ჩვენი სულიერი მამა.

მისი სახით ჩვენ შევიძინეთ კიდევ ერთი დიდი მეოხი და მფარველი ზეციური საქართველოდან, რომელიც შეგვეწევა თითოეულ ჩვენგანს და მთელ საქართველოს.

**მადლობა ყველაფრისთვის! მადლობა ჩვენო პატრიარქო! მადლობა, ჩვენო სულიერო მამავ!**

**ღმერთმა აცხონოს ჩვენი სულიერი მამა ილია II და მისი წმინდა და უკვდავი სული დაამკვიდროს, სადაც მართალნი და წმინდანნი განისვენებენ.**

**ამინ!**

ქრისტესმიერი სიყვარულით

**ირაკლი ბრეგვაძე,**

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე

## ბართლომეოს I, მსოფლიო პატრიარქი:

# მართალნი მკვდარნიც ცოცხლობენ!



**„გამხნევდით, ძმანო და შვილნო, თქვენი პატრიარქი და მამა არ მომკვდარა, არამედ სძინავს. სწორედ პატრიარქ ილიაზეა ნათქვამი – მკვდარი ცოცხალია, ვამბოზ, რამეთუ მართალნი მკვდარნიც ცოცხლობენ“,** – ამის შესახებ გუშინ, ქადაგებისას, მსოფლიო პატრიარქმა **ბართლომეოს I**-მა ბრძანა.

**„იგი ცოცხლობს იქ, სადაცაა უხრწნელი ნათელი და ნეტარ სახილველნი, და ყოვლივე წმინდა და უხილავი არს, ე.ი. ცოცხლობს სამება ღმერთის ყოვლად ნათელ სასუფეველში, რომლის პატივსაცემად თბილისში წმინდა სამების სახელობის ბრწყინვალე ტაძარში აღიმართა. იგი ცოცხლობს თავისი ერის წმინდანებთან ერთად, მოციქულთა სწორ წმინდა ნინოსთან, ქეთევანთან, ილარიონთან, დავითთან და თბილისში წამებულ 100 000 მოწამესთან ერთად, ვიდრე მის თანამედროვე და მეგობარ ღირს ახალ გაბრიელ სალოსამდე.**

**მაშასადამე, ნუ მისცემთ მწუხარებას უფლებას, რათა დაგძლიოთ, კრძალვით დაიმარხეთ და დაიცავით მისი რჩევები და სწავლებები, სწორედ ეს იქნება მისი საუკეთესო მოსახსენებელი და გიხაროდენ, რამეთუ ახლა თქვენი სულიერი მამა, პატრიარქი ილია მეორე ცოცხალთა სავანეშია განდიდებული, იმაზე უფრო მეტად ძლიერი, ვიდრე მაშინ, როდესაც ის თქვენს შორის იყო და აქვს მას კადნიერება ღვთის საყდრის წინაშე თქვენთვის უმეტესი შემწეობისა და სიკეთის მომტანი. მაშ, მოწიწებით ეამბორეთ მის წმინდა მამობრივ მარჯვენას, გამოითხოვეთ მისი ლოცვა-კურთხევა და ჩვენთან ერთად გამოემშვიდობეთ მას“.**

**შესაძლოა, განვლილი დროის ღირსეულ კათოლიკოსთაგან ვერავინ ისე ვერ გააიგივა თავისი სახელი საქართველოსთან, ეკლესიასთან, ერთან, სახელმწიფოებრიობასთან, კავკასიის რეგიონში მშვიდობისმყოფელთან იმგვარად, როგორც ნეტარხსენებულმა, სულმნათმა პატრიარქმა ილია მეორემ!**

**ილია მეორე იყო ჭეშმარიტი სვეტი სიმტკიცისა, როგორც ეკლესიის, ისე სამშობლოსი, რომელთაც თანაბრად ანაწილებდა სიყვარულს, ერთგულებასა და ყოველდღიურ ზრუნვას. არ დარჩენილა საქართველოში ეკლესიური, საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც მას პიროვნების თვალსაჩინო და სასარგებლო კვალი არ დაეტოვებინა. ღვთისმოსავი და თავმდაბალი, ღვთისმსახურების მოყვარე, სასულიერო წოდების ღირსების მქონე, ძმათმოყვარე, მშვიდობისმყოფელი და შემრიგებელი, უშუალო და კეთილგანწყობილი, ტკბილის ქცევითა და სიტყვით, მრავალმხრივ განსწავლული და უაღრესად კეთილშობილი, დახვეწილი და შემოქმედი ბუნების. გამორჩეული ნიშნით ხატწერაში, ფერწერასა და მუსიკალურ შემოქმედებაში, ასევე ხუროთმოძღვრებაში“...**

## ბიძინა ივანიშვილი,

### „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე:

# ახლაც, როგორც მაშინ, „ეპოქა გათავდა დიდი...“



**ადამიანის ცხოვრებაში იშვიათად დგება მწუხარებისა და მღელვარების ისეთი წამი, როგორიც ახლა ჩემთვის დგას – დღეს, მთელი ერის წინაშე ვემშვიდობები ჩვენს სულიერ მამას. დღეს, ყველა ქართველის მსგავსად, გულით ვატარებ დიდ ტკივილსა და სიყვარულს, რომელიც ახსნას არ საჭიროებს, რადგან ის ყველა ჩვენგანისთვის საერთოა,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილმა** ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** დაკრძალვის ცერემონიაზე განაცხადა.

**დღეს ყველა, დიდი თუ პატარა, დუმილითა თუ გამოთქმული სიტყვით ვცდილობთ, პატივი მივაგოთ ადამიანს, რომელმაც თითოეული ჩვენგანის გულში წარუშლელი კვალი დატოვა. სრულიად საქართველო ემშვიდობება უწმინდესსა და უნეტარეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და ეს ჩვეულებრივ განშორებას არ ჰგავს – არნახულად ღრმა, მძაფრი და მტკივნეულია, რადგან ეს განშორება საკუთარ თავში იტევს არა მხოლოდ გრძნობებსა და განცდებს, არამედ ეპოქას და დიდი სიყვარულის ისტორიას.**

**ამბობენ, ადამიანი ორჯერ იბადება, პირველად ფიზიკურად, ხოლო მეორედ მაშინ, როცა ცხოვრების მიზანს შეიცნობს. თავად განსაჯეთ, რამდენად დიდი უნდა იყოს ადამიანი, რომ მისი მეორედ დაბადება მხოლოდ პირად საზღვრებში კი არ მოექცეს, არამედ ქვეყნის ბედისწერას შეერწყას და ერისა და ბერის სულიერ გზას, მის მომავალს დაუკავშირდეს.**

**ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, ყველაზე რთულ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ყოფნა-არ ყოფნის ზღვარზე იდგა, უფლის განგებით, თავად ერმა წარმოშვა ადამიანები, რომლებიც კვერთხად ექმნენ მამულს დარღვეულს. თუ არა უფლის ნება, სხვაგვარად როგორ აიხსნება, რომ ვართ ქვეყანა და ხალხი, რომელმაც საკუთარი წიაღიდან შვა ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერის მამა, რომელმაც მომაკვდავი საქართველო გააცოცხლა?! თუ არა უფლის ნება, სხვაგვარად როგორ აიხსნება, რომ ვართ ქვეყანა და ხალხი, რომელმაც საკუთარი წიაღიდან შვა ილია მეორე, საქართველოს სულიერი მამა, რომელმაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აღადგინა და ქართველი ხალხის სულიერი ერთიანობის სიმბოლოდ იქცა?! ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან, ადამიანები, რომელთა სიდიადე საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის თავგანწირვით განისაზღვრება, მათი მემკვიდრეობა კი უკვდავია, რადგან დიდი ადამიანები არსად მიდიან, ისინი ჩვენს გულებსა და მეხსიერებაში ცოცხლობენ და იცოცხლებენ მარად, მანამ, სანამ მათი იდეალების ერთგულნი ვრჩებით.**

**ერის ცხოვრებაში დგება მომენტები, როდესაც საზოგადოებას, ხალხს, დიდი განსაცდელი, ან დიდი სიხარული აერთიანებს. დღეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სწორედ ასეთი მომენტი დგას – მილიონობით ქართველი მდუმარედ ვხვდებით დიდ განსაცდელს და სწორედ ამ გამაყრუებელ მდუმარებაში, რომელიც ახლა ყველაზე ხმამაღლა ისმის, ამ ქვეყნის თითოეული შვილი მთელი სისავსით გრძნობს, თუ რამდენად დიდია დანაკლისი, რომელსაც ტოვებთ... ამ სიჩუმეში ვემშვიდობებით ეპოქას, რომელსაც თქვენი სახელი ერქვა. დიდი ტკივილის მიუხედავად, ბედნიერი ხალხი ვართ, რადგან წილად გვხვდა პატივი ვიწოდებოდეთ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია II-ის სულიერ შვილებად, მოძღვრისა, რომელმაც როგორც მთელი სიცოცხლე, გარდაცვალებაც საკუთარი სამწყსოს – ქართველი ხალხის ერთ მუშტად შეკვრასა და გაერთიანებას მიუძღვნა.**

**უწმინდესო და უნეტარესო – დიდი მადლობა სიკეთის, სიბრძნისა და სიყვარულისთვის ახლაც, როგორც მაშინ, „ეპოქა გათავდა დიდი...**

## მიხეილ ყაველაშვილი,

### საქართველოს პრეზიდენტი:

# ქართველი კაცი არ შეიცვლება, ჩვენი რეალური სახე სწორედ აქ არის!..



**დღეს ჩვენ თვალს ვუსწორებთ ეპოქას, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „პატრიარქის საქართველო“.**

**თქვენო უწმინდესობავ, თქვენმა მოღვაწეობამ ქართველი ადამიანის ერისკაცური მოვალეობა და მისი სულიერი მისია ერთ მთლიანობად შეკრა. სწორედ ამ გზამ განსაზღვრა ჩვენი ეროვნული სახე და დაგვანახა, როგორ უნდა ვეზიაროთ უფალთან მიახლოების მადლს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც ჩვენი ქვეყანა უმძიმეს ქარტეხილებს გადიოდა, თქვენ იყავით ერის მთავარი საყრდენი. როცა ირგვლივ სასოწარკვეთა ისადგურებდა, თქვენი მშვიდი ხმა გვევლინებოდა ნუგეშად და გადარჩენის იმედად. თქვენ გვასწავლეთ, რომ ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამსაც კი, გამოსავალი უფლის რწმენასა და ერთმანეთის სიყვარულშია...**

**განუზომელია თქვენი ღვაწლი ეროვნული იდენტობისა და კულტურის გადარჩენის საქმეში. თქვენ დაგვაბრუნეთ ჩვენს ისტორიულ ფესვებთან და დაგვარწმუნეთ, რომ ქართველობა არ არის მხოლოდ წარსული დიდება, ის ცოცხალი, მარადიული სულიერი ენერგიაა. თქვენ იყავით და კვალავ ბრძანდებით ერის გამაერთიანებელი, ჩვენი ერთიანობის უდრეკი მცველი. ეს ძალა დღეს, თქვენი გარდაცვალების შემდეგ, კიდევ უფრო მძაფრად შევიგრძენით. ამ მდუმარე რიგებში, ამ სევდიან მზერაში კრთის ის უხილავი, ღვთიური ძაფი, რომელიც თქვენმა სიყვარულმა ჩვენ შორის გააბა – „პატრიარქის საქართველო“, ეს არ არის მხოლოდ ისტორიული ეპოქა, ეს ჩვენი ეროვნული ხასიათის ზეიმია. დღეს ყველამ დაინახა, შინ თუ გარეთ, როგორი ზეწოლაც არ უნდა იყოს ჩვენზე, ქართველი კაცი არ შეიცვლება. ჩვენი რეალური სახე სწორედ აქ არის: ამ ტაძარში, ამ საერთო ტკივილსა და მოწიწებაში. თქვენი ამქვეყნიური გზის დასასრულსაც კი უდიდესი გაკვეთილი მოგვეცით: კიდევ ერთხელ გაგვაერთიანეთ და შეგვახსენეთ ჩვენი ნამდვილი ბუნება – სიყვარული, კაცთმოყვარეობა და ის ურყევი ერთობა, რომელსაც ვერანაირი მიწიერი ქარიშხალი ვერ დაანგრევს. თქვენო უწმინდესობავ, ჩვენ ვაგრძელებთ გზას, რომელიც თქვენ გვიანდერძეთ. ღმერთმა დალოცოს თქვენი უკვდავი სული, ღმერთმა დალოცოს საქართველო!..**

## ირაკლი კობახიძე,

### საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

# პატრიარქთან გამომშვიდობებისას შეუძლებელია, არ დაგეუფლოს დაობლების მძაფრი განცდა!



**ვემშვიდობებით პატრიარქს, რომელმაც ჩვენი დედაეკლესიის აღორძინების ოქროს ხანას ჩაუყარა საფუძველი. ასეთ დროს, პატრიარქთან გამომშვიდობებისას შეუძლებელია, მთელი სიმძაფრით არ შევიგრძნოთ დიდი ქართველი პოეტის სიტყვები: „წინაპართაგან წავიდა ყველა“ და ამ დროს შეუძლებელია, არ დაგეუფლოს დაობლების მძაფრი განცდა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** სამების ტაძარში განაცხადა.

ერთადერთი, რამაც ეს განცდა შეიძლება, შეგვიმსუბუქოს, არის რწმენა, რომ უწმინდესი ზეციური საქართველოდან ლოცვით გააძლიერებს ჩვენს სამშობლოს და დედაეკლესიას. ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს. დღევანდელი დღე არის უდიდესი ტკივილით სავსე თითოეული ჩვენგანისთვის. დღეს დასრულდა დიდი ეპოქა. ვემშვიდობებით ჩვენს უსაყვარლეს პატრიარქს, სულიერ მამას, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოსა და დედაეკლესიის მსახურებას მიუძღვნა. ამასთან ერთად, დღევანდელი დღე არის აღმატებულიც თითოეული მორწმუნე ქართველისთვის. დღევანდელ დღეს განსაკუთრებული სიმძაფრით შეგვიძლია შევიგრძნოთ ჩვენი პატრიარქის სიდიადე და სიამაყით შევახსენოთ ჩვენს თავს, რამდენად დიადია ერი, რომლის წიაღშიც ასეთი მოღვაწე შეიძლება იშვას. უწმინდესისა და უნეტარესის მოღვაწეობის პირველი წლები გასდევდა ქართული კულტურის ოქროს ხანას.

იმ ეპოქის ქართველი მოღვაწეები ქმნიდნენ ახალ შემოქმედებით საგანძურს, რითაც ამდიდრებდნენ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სულიერებას. უწმინდესმა და უნეტარესმა ამ საქმეს ახალი განზომილება შესძინა და ის ქრისტიანული რწმენის განმტკიცებაში გარდასახა. გასული წლების განმავლობაში ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა მრავალმა მოღვაწემ, მთელმა თაობამ, რომელთაც ქართული კულტურის ოქროს ხანის შექმნაში გამორჩეული წვლილი მიუძღვით. დღეს კი, ვემშვიდობებით პატრიარქს, რომელმაც ჩვენი დედაეკლესიის აღორძინების ოქროს ხანას ჩაუყარა საფუძველი. ასეთ დროს, პატრიარქთან გამომშვიდობებისას შეუძლებელია მთელი სიმძაფრით არ შევიგრძნოთ დიდი ქართველი პოეტის სიტყვები:

„წინაპართაგან წავიდა ყველა“ და ამ დროს შეუძლებელია, არ დაგეუფლოს დაობლების მძაფრი განცდა. ერთადერთი, რამაც ეს განცდა შეიძლება შეგვიმსუბუქოს, არის რწმენა იმისა, რომ უწმინდესი რჩება ჩვენთან ერთად და ზეციური საქართველოდან ლოცვით გააძლიერებს ჩვენს სამშობლოს და ჩვენს დედაეკლესიას. როდესაც ვფიქრობ პატრიარქზე და მის მოღვაწეობაზე, მახსენდება კიდევ ერთი სიტყვები დიდი ქართველი პოეტის იმავე ლექსიდან „გაშალა ველი ნელმა ნიავმა, და მელანდება მე მის წიაღში, მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში“. ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება მოხუცი მამის ეს ხატება. ბევრჯერ გაგვახსენდება უწმინდესი და უნეტარესი ილია II, როგორც მოხუცი მამა უვლის მისთვის უძვირფასეს ვენახს, როგორ ევლება თავს დედაეკლესიას, თავის სამშობლოს და თითოეულ სულიერ შვილს. მადლობა უწმინდესს და უნეტარესს მისი მოღვაწეობისთვის, უდიდესი ღვაწლისთვის და გაუზომელი სიყვარულისთვის. ღმერთმა დალოცოს უწმინდესი და უნეტარესის ილია მეორის სული, ღმერთმა დალოცოს და დაიფაროს ჩვენი დედაეკლესია და ჩვენი სამშობლო...

## შალვა პაპუაშვილი,

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:

# უფალმა ილია მეორე მოავლინა მარტოკაცად და უბრუნდება მთელი ერით – ასე ხილულად, ასე ერთად....



**ეს არის დღე, როდესაც სიტყვა ძნელდება. რადგან ის, რაც ჩვენ გვტკივა, სცდება ჩვეულებრივ ტკივილს და ის, რასაც ჩვენ ვგრძნობთ, სცდება ჩვეულებრივ გლოვას. ეს დღეები ჩვენ ვდგავართ სიჩუმეში, რომელიც სავსეა ლოცვით.**

ჩვენი წმინდა პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წარდგა უფლის წინაშე, თავისი შრომით და თავისი ღვაწლით. მისი ღვაწლი ვართ ჩვენ, მისი ერი, მისი სამწყსო, მისი სულიერი შვილები. უფალმა ის მოავლინა მარტოკაცად და ის უბრუნდება შემოქმედს მთელი ერით – ასე ხილულად, ასე ერთად, ასე გამთლიანებულად, როგორც ეს ამ დიდებულ დღეებში გაცხადდა!

ჩვენ ვართ პატრიარქის თაობა და ჩვენ ვართ იმ უნიკალური მოვლენის მოწმენი, როდესაც მთელი ერი ერთი ადამიანით არის სულიერად დაკავშირებული, როდესაც საქართველოს ყველა მოქმედი სასულიერო პირი მისი ლოცვა-კურთხევით არის ხელდასხმული და საქართველოს ქრისტიანთა აბსოლუტური უმრავლესობა მისი ლოცვა-კურთხევით მონათლული.

ჩვენი ორიათასწლოვანი ეკლესიის დღევანდელი სიმრავლე, სახე და ფორმა მის მიერ არის შექმნილი. უწმინდესი და უნეტარესი აღმოჩნდა ჩვენი ერისა და ეკლესიის ის მტკიცე დუღაბი, რომელმაც უღმერთობისა და ნიჰილიზმის დროში ჩვენი წარსული აწმყოსთან, ხოლო აწმყო მომავალთან დააკავშირა. და მართლაც, ჩვენ ვიხილეთ ღვთის სასწაული, ფერფლიდან აღმდგარი ქართული ეკლესია, რომელიც მან მარტომ, შიშველი ხელებით თავიდან გამოკვეთა. მან ეს შეძლო იმიტომ, რომ იცოდა მთავარი, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

დღევანდელ მსოფლიოში მრავალი ღირებულება იბრძვის პირველობისთვის – თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, სამართლიანობა.

უწმინდესი და უნეტარესი თითოეულ მათგანს თავის ადგილს მიუჩენდა, მაგრამ გვასწავლიდა მთავარს: თავისუფლებაც, თანასწორობაც და ყველა სხვა, აზრს კარგავს, თუ არ დგას უმთავრეს ღირებულებაზე – სიყვარულზე. ჩვენ გვყავდა სიყვარულის პატრიარქი. მისი დაუღალავი მქადაგებელი. იგი თავისი ცხოვრებით იქცა მაგალითად, თუ როგორ შეიძლება გიყვარდეს ყველა – შინაურიც თუ უცხოც, მოყვარეც და მტერიც, მართალიც და ცოდვილიც...

ილია მეორემ შეძლო შეუძლებელი, როგორც ქრისტიანმა, აღასრულა ქრისტეს რჯული, როგორც ბერმა, დაიცვა აღთქმა, როგორც პატრიარქმა, ზიდა თავისი ერის უმძიმესი ჯვარი. დასრულდა მისი მიწიერი გზა, მაგრამ დარჩა სიყვარული, მისი სიყვარული ჩვენ მიმართ, რომელიც ამ დღეებში მთელმა ერმა მადლიერებით დავუბრუნეთ.

პატრიარქის მთავარი ოცნება იყო, ეხილა ქრისტეს ეკლესიაში გამთლიანებული თავისი ერი.

„მან ეს შეძლო და სწორედ ასე წარდგა უფლის წინაშე – პირნათელი და მადლმოსილი.

# და მაინც...

**საკრალურ თარიღად იქცა საქართველოსთვის 17 მარტი.**

**ქართული პოეზიის პატრიარქის გარდაცვალებიდან ერის პატრიარქის გარდაცვალებამდე 67 წელი გასულა...**

ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ ჯაბა ხუბუამ კი ერთ სიმბოლურ მომენტზეც მიმანიშნა:

17 მარტს ქართული პოეზიის პატრიარქი გალაკტიონი ვაკის „ლეჩკომბინატიდან“ ამაღლდა ზეცად.

17 მარტს ქართველი ერის სულიერი მამა და პატრიარქი ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე „ლეჩკომბინატიდან“ ამაღლდა ზეცად.

არის რაღაც სიმბოლურიც და საკრალურიც ადგილშიც, თარიღშიცა და პატრიარქებშიც...

და მაინც...

ქართული პოეზიის პატრიარქი მთელმა საქართველომ გულით დაიტირა და ხელით ააბრძანა სამუდამო განსასვენებლამდე – მთაწმინდამდე.

დღესაც გლოვობს მთელი საქართველო...

ქვეყანამ სულიერი მამა და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი დაკარგა.

საქართველოს პატრიარქი მოუკვდა.

არადა, გალაკტიონის დროსაც ყეფდნენ იმდროინდელი ანდრობარნოვები და მაიაორჯონიკიძეები და დღესაც იყეფებიან, ვითარცა ქოფაკნი...

არაუშავს... ძაღლი ყეფს...

საქართველოს კი საუკუნოვანი ისტორიისა და მომავლის წინაშე მარადიულად ეყოლება ზეცად აფრენილი პატრიარქი პოეზიისა თავისი მარადიული ფრაზით –- „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა“....

და მარადიულად დაიფარავს ზეცად აღვლენილი ლოცვა პატრიარქისა, რომელიც საქართველოსთვის ცხოვრობდა და საქართველოსთვის ეწამა...

და მაინც...

რა საკრალური თარიღია 17 მარტი...

პოეზიის პატრიარქის გარდაცვალებაცა და ერის სულიერი მამისა და პატრიარქის ღვთივშესვენებაც ერთსა და იმავე დღეს მოხდა.

და მეორე მხრივ, ნუგეშის დღეცაა 17 მარტი.

მეუფე შიომაც აკი ეს თქვა... ნუგეშად ჩვენდა, მფარველ ანგელოზად აქცია 17 მარტს ილია II უფალმა...

ხოლო 67 წლის წინ გალაქტიონი აღევლინა ზეცად ქართული პოეზიისა და ქართული სულიერების მფარველად...

**გიორგი მამაცაშვილი,**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე



საქართველოს რესპუბლიკა
ჩვენი დროის „კოლხი მედეა“
№34. ორშაბათი, 23 მარტი, 2026 წელი

**ქართული მეცნიერების ისტორიაში არსებობენ პიროვნებები, რომელთა ღვაწლიც დროს უძლებს და მომავალ თაობებს გზამკვლევად რჩებათ. წელს ქართული სამეცნიერო საზოგადოება განსაკუთრებული სიამაყითა და მოწიწებით აღნიშნავს გამორჩეული მეცნიერის, ფარმაკოქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის დაბადებიდან 100 წლისთავს.**

# ეპოქა, სახელად „ეთერ ქემერტელიძე“

## ქართული ფარმაკოქიმიის დიდოსტატის 100 წლისთავი



**ეს არ არის მხოლოდ ერთი მეცნიერის იუბილე – ეს არის იმ ეპოქის აღიარება, რომელმაც საქართველო მსოფლიო ფარმაკოქიმიის რუკაზე დაამკვიდრა. საქმისადმი უსაზღვრო თავდადება, ენთუზიაზმი, ღრმა ცოდნა, მეცნიერული შედეგების**



აკადემიკოსები – ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ქემერტელიძე, მარიკა ლორთქიფანიძე

**პრაქტიკულ რეალიზაციამდე მიყვანისა და კვლევებში ახალგაზრდობის ჩაბმის უნარი, დარგის განვითარების პერსპექტივების მკაფიოდ გამოხატული ხედვა, ამაღლებული გუნება, კეთილშობილება და უბრალოება – აი, ეთერ ქემერტელიძისათვის დამახასიათებელი თვისებების არასრული ჩამონათვალი.**

**ეთერ ქემერტელიძე** დაიბადა 1926 წლის 23 მარტს დაბა საჩხერეში, ცნობილი ექიმის ოჯახში. მისი ცხოვრება თავიდანვე დაუკავშირდა მედიცინისა და ქიმიის საზღვარზე არსებულ რთულ სფეროს – ფარმაკოქიმიას. მან 1946 წელს ბრწყინვალედ დაასრულა თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტი, შემდგომ – თბილისის სამეცნიერო კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის ასპირანტურა, რასაც მოჰყვა ათწლეულების განმავლობაში დაუღალავი შრომა იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. ეთერ ქემერტელიძე იმთავითვე აქტიურად ჩაება ინსტიტუტის საქმიანობაში, რომლის ძირითადი მიმართულება საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესწავლა და სამკურნალო პრეპარატების შექმნა იყო.

შთამბეჭდავი გახლდათ მისი სამსახურებრივი წინსვლა: 1953 წელს – საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. 1977 წელს – პროფესორის წოდება, 1981 წელს კი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. 1979 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს კი ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად აირჩიეს. ამასთან, 2004 წლიდან რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკური აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსია.

1972 წლის აპრილიდან 2005 წლის ნოემბრამდე – 34 წლის განმავლობაში ეთერ ქემერტელიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორია. ქალბატონი ეთერი ბრძანდება საქართველოში ფარმაცევტული განათლებისა და ფარმაკოქიმიური მეცნიერების დამაარსებლის, აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი თანამგზავრი, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა თავისი მოძღვრის გზა და თავადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფარმაკოქიმიური მეცნიერების განვითარებასა და მისი ახალი თანამედროვე მიმართულებების ჩამოყალიბებაში. დიდი სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის შედეგად ეთერ ქემერტელიძემ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი საერთაშორისო დონის დაწესებულებად აქცია და მეცნიერული კვლევის შედეგებით დამსახურებულად მოუპოვა საყოველთაო აღიარება და ავტორიტეტი. ეთერ ქემერტელიძის სახელთანაა დაკავშირებული ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერული კვლევების შემდგომი განვითარება და მატერიალურტექნიკური ბაზის გაძლიერება.

**ეთერ ქემერტელიძის მთავარი დამსახურება ბუნებრივი ნაერთების ქიმიის განვითარებაა. მან დაადგინა, რომ საქართველოს უნიკალური ფლორა არის ამოუწურავი რესურსი მაღალეფექტური სამკურნალო საშუალებების შესაქმნელად. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა და წარმოებაში დაინერგა ათეულობით ორიგინალური პრეპარატი, რომლებიც სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის სამკურნალოდ გამოიყენება. ეს პრეპარატები ეფუძნება ქართული ფლორის მდიდარ რესურსს და ხასიათდება კომპლექსური მოქმედებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრონიკული და პოლიფაქტორული დაავადებების დროს. მის მიერ შექმნილი ფიტოპრეპარატები უვნებელია და გამოირჩევა მაღალი თერაპიული ეფექტით.**

ეთერ ქემერტელიძის სახელს უკავშირდება ისეთი პრეპარატების შექმნა, რომლებიც წარმატებით გამოიყენება კარდიოლოგიაში, ენდოკრინოლოგიასა და ნევროლოგიაში. მან საფუძველი ჩაუყარა სტეროიდული ნაერთების შესწავლას, რამაც რევოლუცია მოახდინა ადგილობრივ ფარმაცევტულ წარმოებაში. ეთერ ქემერტელიძემ კომპლექსური კვლევებით დაადგინა მცენარეთა ცალკეულ ოჯახებსა და გვარებში ნივთიერებათა ბიოსინთეზის კანონზომიერებანი, ურთიერთდამოკიდებულება ნივთიერების ქიმიურ სტრუქტურასა და ბიოლოგიურ აქტივობას შორის.

კვლევის შედეგად გამოვლენილია საგულე გლიკოზიდების, სტეროიდული და ტრიტერპენული საპონინების, ფლავონოიდების, კუმარინების, ანტრაქინონების, ლიპიდების, ლიგნანების, ტერპენოიდების შემცველი მანამდე უცნობი რამდენიმე ასეული მცენარე. დადგენილია მათი მოქმედი საწყისი შედგენილობა და აღნაგობა. მან გაამდიდრა ბუნებრივ ნივთიერებათა არსენალი რამდენიმე ათეული სტრუქტურულად ახალი ნივთიერებით. ნაყოფიერია ეთერ ქემერტელიძის მეცნიერული მოღვაწეობა მცენარეულ ნივთიერებათა ქიმიური ანალიზისა და ტექნოლოგიების სფეროშიც. მისი ხელმძღვანელობით შექმნილია მრავალი სამკურნალო საშუალება, რომელთა უმრავლესობა დანერგილია ქიმიურ-ფარმაცევტულ მრეწველობაში და ფართოდ გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში.

აკადემიკოსი ქემერტელიძე არ გახლავთ მხოლოდ მკვლევარი; ის დიდი მოძღვარია – მან აღზარდა მეცნიერთა მთელი პლეადა: ათობით მეცნიერებათა დოქტორი თუ კანდიდატი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ეთერ ქემერტელიძემ მოწაფეებთან ერთად გამოავლინა საინტერესო ქიმიური შემადგენლობისა და ბიოლოგიური ეფექტურობის მქონე მრავალი მცენარე. გამოყო და დაახასიათა 3000-მდე ინდივიდუალური კომპონენტი, მათ შორის, 360-მდე ახალი, მანამდე უცნობი აღნაგობის ბუნებრივი ორგანული ნივთიერება.

მოწაფეებთან ერთად მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია – საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პეტრე მელიქიშვილისა და იოველ ქუთათელაძის სახელობის პრემიები.

აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ ღრმა ქიმიური, ბიოლოგიური, ანალიზური, ტექნოლოგიური კვლევების საფუძველზე შექმნა სხვადასხვა დანიშნულების 25 ორიგინალური პრეპარატი, ბიოქიმიური რეაქტივი, სტეროიდული ჰორმონალური პრეპარატების სინთეზის ნედლეული, სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარების სტიმულატორი, რომლებიც ნებადართულია პრაქტიკული გამოყენებისთვის.



ეთერ ქემერტელიძე – ხელმძღვანელი, მეგობარი, მასწავლებელი

**ეთერ ქემერტელიძე აქტიურად თანამშრომლობდა და დღესაც განაგრძობს თანამშრომლობას საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, იტალიის, საბერძნეთის, კანადის, ავსტრიის, გერმანიის, პოლონეთის, იაპონიის, ჩინეთის, რუსეთის, უზბეკეთისა და სხვა ქვეყნების წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.**

ეთერ ქემერტელიძის თაოსნობით ინსტიტუტში გეგმაზომიერად ფართოვდებოდა სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო. გაღრმავდა კვლევები ფარმაკობოტანიკის, ანალიზური ქიმიის, ტექნოლოგიის მიმართულებით. 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა სამკურნალო ფერმენტოლოგიის და ფარმაკოლოგიის ლაბორატორიები, ექსპერიმენტული და კლინიკური ფარმაკოთერაპიის განყოფილება, ინსტიტუტის სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურები, დაარსდა სტეროიდულ ნივთიერებათა სინთეზის განყოფილება. 1979 წლიდან ინსტიტუტში ფუნქციონირებდა ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიის რესპუბლიკური ცენტრი, სადაც ტარდებოდა კვლევები როგორც ინსტიტუტში გამოყოფილი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების, ასევე ქართველი ქიმიკოსების მიერ მიღებული ორგანული და არაორგანული ნივთიერებების სტრუქტურაზე.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შეიქმნა კომპლექსური სისტემა პერსპექტიული სამკურნალო მცენარეებისა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ძიებიდან დაწყებული – სამკურნალო საშუალებათა შექმნითა და წარმოებით დამთავრებული, ყველა საჭირო სამეცნიერო ქვედანაყოფებითა და საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზებით.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე და მისი თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. თავის მხრივ, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე იმართება ფრიად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებები – საერთაშორისო სიმპოზიუმები და კონფერენციები სტეროიდების, ფენოლურ ნივთიერებათა, ნახშირწყლების, ბუნებრივ ნივთიერებათა ქიმიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და სამკურნალო პრეპარატების კვლევების მიმართულებით, აგრეთვე ფარმაკოთერაპიისა თუ იმუნოფარმაკოლოგიის სფეროში.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე თავისი საქმიანობის მასშტაბებით საერთაშორისო მნიშვნელობის პიროვნებაა არამარტო როგორც მეცნიერი, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწე. იგი გახლდათ ოთხი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის, საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ექვსი სხვადასხვა სამეცნიერო, საპრობლემო საბჭოს წევრი. არჩეულ იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის დეპუტატად; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ; საბჭოთა კავშირ - საფრანგეთის საპარლამენტო კომისიის წევრად. მუშაობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კომისიაში ქალთა კომიტეტიდან. 1978 წელს იგი, როგორც გამოჩენილი მეცნიერი, ლექციების წასაკითხად მიიწვია უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ.

**1992 წელს ინსტიტუტს ეწვია ამერიკის საინვესტიციო კომპანიის OPIC-ის დელეგაცია. მათ თავის მემორანდუმში ჩაწერეს: „ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ერთობლივი წარმოებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია, ხოლო დირექტორი ეთერ ქემერტელიძე – ყველაზე მოაზროვნე ხელმძღვანელია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივართ. მისი პოზიცია დარგის განვითარებისა და საქართველოს მომავლისათვის აბსოლუტურად ნათელია“.**

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში ქალბატონმა ეთერმა ჩამოაყალიბა მიმართულება „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა“, ხოლო წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში დააარსა ფარმაციის და ტრადიციული მედიცინის ფაკულტეტი, სადაც იგი განათლების სამივე დონეზე ხელმძღვანელობს კადრების მომზადებას.

ეთერ ქემერტელიძე დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის, შრომის წითელი დროშის, ღირსების ორდენებით; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, შრომის ვეტერანის და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მედლებით. ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის საერთაშორისო კოლეგიის ოქროს ფირფიტით, როგორც 1997 წლის გამორჩეული მეცნიერი მცენარეთა ქიმიის მეცნიერებათა დარგში; ინგლისის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მედლით, საუკუნის პიროვნება“ – XX საუკუნეში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის. საერთაშორისო ფონდის „მეცნიერული პარტნიორობა“ საპატიო ნიშნის მედლით; ეთერ ქემერტელიძეს მიღებული აქვს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ორდენი. არის საჩხერისა და ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორია, ასევეა თსსუ იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტეროიდულ ნივთიერებათა ლაბორატორიის გამგე. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს და მასთან ურთიერთობაში მყოფთ განუცდიათ ამ არაჩვეულებრივი ქალბატონის მადლიანი დახმარება და მხარდაჭერა, მრავალი მეცნიერის გზის გამკვალავი, ყველას უხვად უნაწილებს გულის სითბოს, ცოდნასა და გამოცდილებას.

აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და მისი ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აქტიური წევრი, „ფარმაკოქიმიის“ დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე.

სიმბოლურია, რომ ქართული ფარმაციისა და ქიმიის განვითარებაში ასეთი კვალი სწორედ ქალბატონმა დატოვა –**თანამედროვე „მედეამ“,** რომელმაც მაგიური ელექსირების ნაცვლად, კაცობრიობას ზუსტი გათვლებითა და კვლევებით მიღებული სამკურნალო პრეპარატები აჩუქა. მან დაამტკიცა, რომ მითიური მედეას მემკვიდრეობა გახლავთ არა ლეგენდა, არამედ რეალური ძალა, რომელიც საუკუნეების შემდეგ ქართულმა ფარმაკოქიმიამ, მისი ლიდერობით, მსოფლიო მედიცინის საკუთრებად აქცია. შემთხვევითი არ არის, რომ ფრანგმა მეცნიერმა სტივენსონმა მას **„კოლხი მედეა“** უწოდა. ეთერ ქემერტელიძის ღვაწლი რჩება იმ ცოცხალ ხიდად, რომელიც უძველეს ცოდნასა და მომავლის მეცნიერებას აერთიანებს, რადგანაც გვევლინება იმ დიდი ტრადიციის გამგრძელებლად, რომელიც ათასწლეულების წინ კოლხეთში დაიწყო. აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ შეძლო, მითიური მედეას მცენარეული სიბრძნე თანამედროვე ლაბორატორიებში გაეცოცხლებინა და ქართული ბუნების ძალა ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დაეყენებინა. სწორედ ასეთი ადამიანების ღვაწლი ეფუძნება კულტურისა და მეცნიერების უწყვეტობას წარსულიდან მომავლამდე.

**დღეს, როდესაც ეთერ ქემერტელიძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, მის მიერ დაფუძნებული სამეცნიერო მიმართულებები კვლავ უაღრესად აქტუალურია. მისი ცხოვრება არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მეცნიერმა ქალმა, საკუთარი ნიჭითა და დაუღალავი შრომით, ეპოქალური კვალი დაამჩნიოს ქვეყნის ისტორიას. ეთერ ქემერტელიძის პიროვნებაში დიდი შემოქმედებითი და ადამიანური არსი ვლინდება. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ახლაც ენერგიულად შრომობს. ეთერ ქემერტელიძე რჩება ქართული ინტელექტუალური ელიტის სიმბოლოდ – ადამიანად, რომელმაც ბუნების საიდუმლოებები ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩააყენა!**

**შესანიშნავ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დიდებულ პიროვნებას, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძეს ვუსურვებთ მრავალჟამიერ შემოქმედებით სიცოცხლეს!**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;**
**ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება;**
**ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი.**

# განწირული... წმინდანობისთვის

**გლოვის ზარი დგას საქართველოში. მსგავსი ტკივილი გინა სიცარიელის განცდა დიდი ხანია არ ჰქონია ქართველ ერს, სრულიად საქრისტიანოს.**

**ილია მეორის – ჩვენი სულიერი მწყემსის, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ზეცად აღვლინება უდიდეს ნაწიბურს ამჩნევს ჩვენს გულებს, ჩვენს სულს და მირიად საფიქრალს აღგვიძრავს.**



ნუგეში, სასოება, რწმენა, თაყვანისცემა და, ბოლოს, სიამაყის საოცარი განცდა – აი, ის გრძნობა, რომელიც ამ ღვთისკაცის ხსენებისას გვეუფლება.

არსთაგამრიგემ ბოლომდე მაინც არ გასწირა მისი სახე და ხატი – მასავით ჯვარცმული ქვეყანა და სულის საოხად დიდი საეკლესიო მოღვაწე, სიბრძნითა და სიქველით გამორჩეული პიროვნება მოუვლინა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში სალბუნად ედებოდა მისი საესავი სამშობლოს მარადმდინარე იარებს.

გულისფიცარზე ჰქონდა ამოტვიფრული მისი სწორუპოვარი წინაპრისა და სეხნიის დიდი ილია მართლის სიტყვები: „ქრისტეს რჯული ქართველებისთვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობა ერისას მოასწავებდა... ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობას“.

დუღაბობას უწევდა ერთობასო და, ქართველებო, დავიდოთ გულზე ხელი და ვაღიაროთ, რომ ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, კარგა ხანია იქცა დუღაბად გინა ქვითკირად ჩვენი ერთობისა, ჩვენი სულიერებისა, ჩვენი იავარქმნილი და უფსკრულის პირას მდგარი ქვეყნისათვის. მისი ყველა ნაბიჯი, აზრი თუ მისწრაფება გამსჭვალული იყო ქართული იდეის, ქართული იდეოლოგიის იმ მოდელის ძიებით, რომელიც საქართველოს გადაარჩენდა.

ჩვენი პატრიარქი თქვენს მონა-მორჩილს ბიბლიურ პატრიარქებს აგონებდა, თუ დაკონკრეტებაა საჭირო, პირველივე პატრიარქს, რომელიც ღვთაებრივმა მიქელანჯელომ ისე გამოაქანდაკა, რომ სხვანაირი მოსე ვერცკი წარმოგვიდგენია. სწორედ ასეთ მოსეს ჰქონდა პატივი, აგიზგიზებულ მაყვლოვანში ეხილა მაცხოვარი და მისგან ის ათი მცნება მიეღო, რომლებმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა კაცობრიობის ურთულესი და ნარეკლიანი გზა.

მტკიცედ მწამს, რომ მსგავსი მიახლება უფალთან ჩვენს პატრიარქსაც ერგო პატივად მისი სულიერი სიწმინდისა და სრულყოფილების გამო, იმის გამოც, რომ ქართველმა ერმა იგი სიცოცხლეშივე აღიარა წმინდანად.

რა ძალამ, რა შთაგონებამ, რა ფოლადისებურმა სიმტკიცემ შეაძლებინა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოფილიყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უღირსეულესი საჭეთმპყრობელი და თავისი ცხოვრების ნირით, თავისი არსებობით ყოფილიყო ნორმა და ნიმუში უფლისა და ადამის შთამომავალთა კავშირისა, იმ სინერგიისა, რომელიც ქართველ ერს უფლის რჩეულ საყვარელ ერებს შორის მიუჩენდა ადგილს...

რაც სულია სხეულისთვის, ეკლესია იგივეა ერისთვის. როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება. ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე – ყოველივე ეს სრულად ჰქონდა გააზრებული და გასიგრძეგანებული ჩვენს პატრიარქს და მთელი მისი სიცოცხლე, მთელი მისი ღვწა და რუდუნება იმის სამსახურს ხმარდებოდა, რომ მისი სამწყსო არ მოწყვეტილიყო დედაეკლესიას და არ შთანთქმულიყო გეენიის ცეცხლში. ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, რომ ადამიანი მუდამ უფლისა და სატანის მარადიული ომის შუაგულში იმყოფება და ეს ომიც, გულზე ხელი რომ დავიდოთ, სწორედ მისი სულის დაპატრონებისთვის ამტყდარი ომია, დაუნდობელი და უსასტიკესი ომი. სწორედ ამ ომში ვიმყოფებით დღესაც. რა ქარაშოტები, რა გრიგალები ატყდება თავს ჩვენს დედაეკლესიას – მეოცე საუკუნის უღმერთოთა კავშირის შთამომავლები არნახული გავეშებით, კბილთა ღრჭიალით უტევენ ჩვენს სულიერებას, ჩვენს სიწმინდეებს, რწმენას, ჩვენს ურყევ ერთგულებას უფლის მცნებებისადმი და სწორედ ჩვენი პატრიარქი იყო უპირველესი ბალავარი, უპირველესი წინაღობა და ბარიერი ეშმასეული ძალების მოგერიებისა, ქართული სულის ურყევობისა და სიმტკიცისა. ამ დროს როგორ არ გაგვახსენდეს ბიბლიური სიბრძნე:

„აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას...“

დიახ, ჯოჯოხეთის ვერც ერთი მოციქული ვერ მოერევა ჩვენს გულებში ჩაქვითკირებულ დედაეკლესიას და რა ბედნიერებაა, რომ ყოველივე ამაში ლომის წილი ჩვენმა პატრიარქმაც გაიღო. აღორძინება ჩაკლული ქართული სულიერებისა, აღორძინება საეკლესიო-სამონასტრო ღვწისა, აღორძინება გელათის მეცნიერებათა აკადემიისა, დაარსება მეცნიერების, კულტურისა და სულიერი აღორძინებისა და განვითარების უმძლავრესი საქველმოქმედო ფონდისა და ბოლოს – სამების ტაძარი, რომელმაც ჩვენს სულებშიც დაიდო ბინა...

გულდასმით, დაუნჯებით უნდა გაეცნო მის საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეებს და მიხვდები, თუ რა ფართო თვალსაწიერის, რა დიდი გაქანების მქონე მოაზროვნე იყო, რა ზომიერი, რა ფრთხილი და, ამავე დროს, რა მტკიცე და შეუვალი, როცა საქმე სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეხებოდა.

იგი არა მარტო ამბიონიდან წარმოთქმული ქადაგებებით იპყრობდა ჩვენს გულებს, არამედ საოცარი თავმდაბლობით და სიყვარულით და ჩვენც მოგვიწოდებდა, გვყვარებოდა მოყვასი ჩვენი, ჩვენც ვყოფილიყავით თავმდაბალნი და მოწყალენი.

არსთაგამრიგემ უხვად დააბერტყა ჩვენს პატრიარქს ერის მსახურების სხვადასხვა ნიჭი. ამის დასტურია მისი საოცარი საგალობლები, სულში რომ გვეღვრება და სიხარულსა და შვებას გვგვრის, ამის დასტურია მის მიერ შექმნილი ხატები, აღტაცებით და თაყვანისცემით რომ განგვაწყობს მისი დიდებულებისადმი...

ამ ბოლო წლებში სულ ის მაინტერესებდა, თუ რაზე ფიქრობდა პატრიარქი იმ ავადსახსენებელ 2008 წლის აგვისტოს დღეებში, როცა სამაჩაბლოსა და საციციანოს უძველეს ქართულ მიწაზე გულგასენილი დადიოდა და სამშობლოსათვის, ღირსებისთვის თავშეწირულ ქართველ ვაჟკაცთა წმინდა ნეშტებს აპატიოსნებდა... როგორ გაუძლო იმ ჯოჯოხეთს, როგორ შეძლო მურვან-ყრუებისა და შაჰ-აბასების, თემურ-ლენგებისა და ჯალალედინების დარ ჯალათებთან მშვიდი საუბარი და მათი დარწმუნება, რომ დიდ ცოდვაში გახვეულთ საბოლოოდ არ წაეწყმიდათ სული. არადა, შეძლო, მამულის სიყვარულმა შეაძლებინა, სხვაგვარად მოქცევის უფლება არ ჰქონდა და იმან შეაძლებინა, რომ XX-XXI საუკუნეების გიორგი ჭყონდიდელი იყო.

აი, ასეთი პატრიარქი ჰყავდა საქართველოს, ასეთი პატრიარქი ჰყავდა ქართველობას, რომლის ულამაზესი სული ძალიან დიდხანს, დიდხანს დაედარება მის მშობელ ერს და დაეხმარება საუკუნეებს უღრანებში მარადიული ხეტიალისას.

არსთაგამრიგემ ნათელში დაამკვიდროს ილია მეორე, ჩვენი სულიერი მწყემსი, რომელიც ზეციური საქართველოდანაც მისი მშობელი ერის თანამგზავრი და გეზის მომცემი იქნება.

**ჩვენო პატრიარქო!**

**გვიყვარდი და კვლავაც ეყვარები ქართველობას, ჩვენო დიდო მოძღვარო და მასწავლებელო!**

**ზაალ ბოტკოველი.**

საქართველოს რესპუბლიკა

## ღირს დასაფიქრებლად...

# რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელი!..

## უმეცრება და ბოროტება მარადიულია, როგორც სიკეთე და სიბრძნე



**გავბედავ, ჩემი მოკრძალებული აზრი მოგახსენოთ მსოფლიოში ერთ-ერთი უპოპულარესი ზეიმის, ნოვრუზის, თაობაზე. იმ ნოვრუზისა, ტრადიციულად გაზაფხულის ბუნიობის დღეს, 21-22 მარტს რომ იწყება, 12 დღის განმავლობაში გრძელდება და განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით აღინიშნება ისლამურ სამყაროში.**

**რაც მთავარია, საუბარია უძველეს ტრადიციაზე, რომლის საზეიმოდ აღნიშვნა საქართველოს აზერბაიჯანულენოვანმა მოსახლეობამ არ ისურვა პატრიარქის გარდაცვალებისა და ქვეყანაში შექმნილი სამგლოვიარო ვითარების გამო.**

მეტი სიცხადისთვის კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მოძმე აზერბაიჯანელმა ხალხმა, მთლიანად საქართველოს ისლამურმა თემმა ზეიმი სხვა დროისთვის კი არ გადადო, არამედ, საერთოდ, უარი თქვა 21-22 მარტს მის აღნიშვნაზე მშობელ ქვეყანაში შექმნილი სამგლოვიარო ვითარების გამო.

მოდი, კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ აზერბაიჯანის ხელისუფლების სამძიმარს საქართველოს ხელისუფლებისა და სრულიად საქართველოსადმი: „...მუდამ დიდი პატივისცემით გავიხსენებთ მისი უწმინდესობა ილია მეორის მიერ კაცობრიობის საკეთილდღეოდ გაწეულ საქმიანობას, მის წვლილს კავკასიაში მშვიდობის, სოლიდარობისა და რელიგიათაშორისი დიალოგის ხელშეწყობაში, მის დიდ ძალისხმევას ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისთვის“.

იმედია, ყველამ საკუთარი თვალით ვნახეთ და საკუთარი ყურით მოვისმინეთ ჩვენი თანამემამულე მუსლიმი უმაღლესი სასულიერო პირების გულწრფელი სამძიმარი მათი ქრისტიანი თანამოძმეების, მთლიანად საქართველოსადმი უმძიმესი დანაკარგის გამო.

ასე ფიქრობენ და თავის ნაფიქრალს ასე გამოხატავენ ჩვენი მუსლიმი თანამოქალაქეები და მეზობელი ქვეყნები.

რას ფიქრობს და თავის ნაფიქრალს როგორ გამოხატავს ზოგიერთი ჩვენი „ქრისტიანი“ ქართველი თანამოქალაქე, ამის კლასიკურ მაგალითს ძალიან მოკლედ და დიდი ბოდიშის მოხდით, ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ახლა კი თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ ნოვრუზის (სპარსულად – ახალი დღე) 12-დღიან დღესასწაულს საერთო არაფერი აქვს, ზოგადად, მაჰმადიანურ რელიგიასთან. ეს გახლავთ ჯერ კიდევ ზოროასტრული ეპოქიდან მომდინარე ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებული სახალხო ზეიმი. ამიტომ, თუ მეტი არაფერი, გულუბრყვილობაა, როცა მაჰმადიანური რელიგიის გამოჩენამდე (622 წ.) ირანის აქემენიანთა იმპერიაში ათი საუკუნით ადრე ოფიციალურად დამკვიდრებული ამ ზეიმის მილოცვისას, ოფიციალური პირები ისლამსა და წინასწარმეტყველ მუჰამედსაც მოიხსენიებენ.

ვიდრე უშუალოდ ზეიმის დეტალებზე შევჩერდებოდეთ, ძალიან მოკლედ შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 28 სექტემბრის გაეროს სამიტზე ნოვრუზი ოფიციალურად აღიარეს მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობად, ხოლო ერთი წლის შემდეგ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ „ნოვრუზის საერთაშორისო დღე“ დააწესა.

მაშ ასე, ნოვრუზი ახალი წლის დადგომას ეძღვნება, 21 მარტს იწყება და 12 დღის განმავლობაში გრძელდება. თუმცა, ამ დღისთვის მზადება ერთი თვით ადრე მაინც იწყება. მზადების პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოთხი სტიქიით სახელდებულ სამშაბათებს (ჩერშენბე) – წყლის, ცეცხლის, ქარისა და მიწის. ეს ნიშნავს, რომ პირველ სამშაბათს იწყება ყინულის წყლად გადაქცევა. მეორე სამშაბათი ცეცხლის დღეა და ყველა ეზოში კოცონი (ტონგალი) გიზგიზებს. ოჯახის წევრები ცეცხლზე ხტებიან, რათა წინა წელს ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ცოდვები ცეცხლს გაატანონ, წინა წლის ყველა ჭირი და ვაებაც კოცონმა შთანთქას. მესამე (ქარის) სამშაბათს ყველა ოჯახი ფლავს ამზადებს და ღამით შესასვლელ კართან ტოვებს იმ რწმენით, რომ მითიური ხიდირ ნაბი ჩამოივლის და მასზე თავისი ცხენის ნაკვალევს დატოვებს; მეოთხე (მიწის) სამშაბათი ხვნათესვის დაწყების სიმბოლური დღეა. ამ დღესვე გადიან სასაფლაოზე, მიცვალებულებს პატივს მიაგებენ და ლოცვებს კითხულობენ. ბოლო სამშაბათს ოჯახის ყველა წევრი შინ უნდა დარჩეს. ეს მოთხოვნა არ ეხება ბავშვებს, რომლებიც მეზობლების კარებზე აკაკუნებენ, ქუდებს აწვდიან და მერე თხილით, კაკლით თუ ტკბილეულით სავსე ქუდებს შინ მიარბენინებენ.

ამ კვირების განმავლობაში მოზეიმეები ახლობლებისა და ნათესავების მონახულებასაც ცდილობენ, თეფშებზე ჯეჯილს ზრდიან და მას წითლად შეღებილი კვერცხებით ამკობენ. და კიდევ ერთი უცნაური ტრადიცია – ამ კვირების განმავლობაში ყველა ოჯახი ცდილობს მიაყურადოს და გაიგოს რა ხდება, რაზე ლაპარაკობენ მეზობელ ოჯახებში.

ასე მივდივართ ნოვრუზის დღესასწაულის პირველ დღემდე, 21 მარტამდე.

მრავალი წლის წინათ, გაგანია კომუნისტური მმართველობის ჟამს (გასული საუკუნის 70-იან წლებს ვგულისხმობ) რამდენჯერმე მქონდა პატივი მიწვეული სტუმრის სტატუსით დავსწრებოდი ნოვრუზის დღესასწაულს იმჟამინდელი გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში. სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, დღეს რა ხდება, მაგრამ მაშინ მთელი სოფელი, სტუმრებთან ერთად იკრიბებოდა ხესთან, რომელსაც „ჩინარს“ (ნატვრის ხე) უწოდებდნენ. სამწუხაროდ, ხის ჯიში არ მახსენდება. ის კი კარგად მახსოვს, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა ყანჩის მოფრენას ნისკარტში ხორბლის თავთავით, რაც ბარაქიანი წლის მომასწავებელი იქნებოდა. ხოლო თუ ყანჩა ძვალს მოიტანდა, მაშასადამე სიღარიბეს ვერ გაექცეოდნენ.

რაც შეეხება საზეიმო სუფრას, აზერბაიჯანული წარმომავლობის მუსლიმი თანამემამულეებისადმი ჩემი წრფელი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, იგი ტრადიციულ ქართულ სუფრას ნამდვილად ვერ გაეჯიბრება. უფრო ზუსტად, ტრადიციული ქართული პურმარილისგან რადიკალურად განსხვავებულია. მაგალითად, საზეიმო სუფრაზე არ არის არანაირი ალკოჰოლიანი სასმელი. სამაგიეროდ, თავსაყრელადაა მოხარშული ცხვრის და ბატკნის ხორცი, რძეში მოხარშული კიტრისგან დამზადებული კერძი, უტკბილესი ნამცხვრები „გოღალი“ და „შაქარბურა“ და, რაც მთავარია – „ფაჰლავა“.

ერთი პატარა ნიუანსიც – ნოვრუზის დღესასწაულის უშუალოდ მზადებაში მთავარ როლს ასრულებენ ქალბატონები. გოგონები აქტიურად მონაწილეობენ სტუმრების მიღებასა და გართობაში, თავდავიწყებით მღერიან და ცეკვავენ. ეს არ ნიშნავს, რომ მამაკაცები პასიურობენ და შორიდან აკვირდებიან მიმდინარე მოვლენებს. პირიქით, ისინი აგვარებენ ყველა ორგანიზაციულ საკითხს, ძალიან აქტიურად მონაწილეობენ სტუმრების მიღება-გასტუმრებასა და, ზოგადად, „გასართობ პროგრამაში“.

უდიდესი ისტორიის მქონე ამ დღესასწაულზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას. თუმცა, ვფიქრობ, თანამედროვე ქართულ ტრადიციებზე ზოროასტრიზმის ნაკვალევი ამ მწირი ინფორმაციიდანაც შეიძლება დავინახოთ.

**ერის, სამშობლოს და, არ ვაჭარბებ – მთლიანად მოაზროვნე კაცობრიობის – წინაშე დამსახურებისთვის ისტორია უთუოდ მიუზღავს მის უწმინდესობა ილია მეორეს, „მეორე ილიას“, როგორც მას პროფესორი თამაზ კვაჭანტირაძე მოიხსენიებდა, საქართველოს უპირველეს საეკლესიო მოღვაწეს თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში.**

ახლა, როგორც დაგპირდით, ჩემი და საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობის მძიმე გულისტკივილზე უნდა გითხრათ.

გულწრფელად რომ ვაღიარო, არ მეგონა, თუ ოდესმე ამის თქმა მომიწევდა – დღევანდელ საქართველოში, თურმე, იმაზე გაცილებით მეტი უბოროტესი არაადამიანია, ვიდრე ამას საღი გონება წარმოიდგენს. მაგალითი? – ნახეთ, საჯარო ქსელში რას წერს ვინმე უბირი ქალბატონი **ქეთი ნოზაძე** და ასევე არაადამიანური აღტაცებით რას იწონებენ მისი მეგობრები:

**„ხალხს, რომლებსაც ერთი ახალგაზრდის გაწირვა, უდანაშაულოდ ციხეში ამოლპობა, ცხოვრების დანგრევა, დასისხლიანება და ოჯახიანად განადგურება რომ არ გაუპროტესტებიათ, ისინი იხოკავენ ახლა სახეს 93 წლის, სიბერით გარდაცვლილ ადამიანზე, რომლისაგანაც ერთი სწორი ნაბიჯი არ ახსოვს ქვეყანას! ადამიანი, რომლის სამშობლოშიც (ბოდიში, მისი სამშობლო რუსეთი იყო), 2 მილიონი მაცხოვრებლიდან, ერთი მილიონი სოციალურად დაუცველი და ნახევარი მილიონი მოშიმშილე ბავშვი ცხოვრობს და თავად და თავისი წვირიან-წვერიანი ხროვა, ოქროებში იხრჩობიან... თავად პატრიარქს (ე. წ.) ნახევარ მილიონად შეფასებული ქონების ყვავილი ედგა სამეფოში“...** (სტილი დაცულია, – **თ. ქ.**)

და ამას ამბობს ამ მართლაც ღვაწლმოსილი, უანგარო, გარდაცვლილი ადამიანის დაკრძალვამდე სამი დღით ადრე, ქვეყანაში დასადგურებული საყოველთაო გლოვის ჟამს.

მაპატიეთ, მაგრამ შეუძლებელია, ამის წამკითხველს თვალწინ არ დაგიდგეს ავადსახსენებელი 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები. მით უფრო, თუ მისი თვითმხილველი ხარ: პატრიარქის მიმართვა რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილი საზოგადოებისადმი მოვლენათა შესაძლო ტრაგიკულ განვითარებაზე, მამაშვილური თხოვნა ქაშვეთის ტაძრის ეზოში გადანაცვლებაზე და... ლიდერ-ორგანიზატორთა ისტერიული პასუხი ირაკლი წერეთლის პირით – არა!

იმის თქმა მინდოდა, რომ ადამიანთა უმეცრება და ბოროტება ისევე მარადიულია, როგორც სიკეთე და გენიალობა. ვიცი, ქალბატონი ნოზაძე და მისი თანამოაზრეები ჩემს ნათქვამს რუსეთუმეობა-სპარსეთუმეობად თარგმნიან და უთუოდ შემაჩვენებენ.

**დაგოლოს, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გულწრფელი თანაგრძნობა გამოვუცხადო მთელ საქართველოს, ქრისტიანულ სამყაროს დიდი მოღვაწის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების გამო.**



**თეიმურაზ ქორიძე**

20. 03. 2026



# „გლოცავთ და გარწმუნებთ, ახლავე კარგად გახდებით“...

## პატრიარქის სასწრაფო დახმარება

**1998 წლის მიწურულს კიევიდან თბილისში საგანგებო მისიით გაგვაგზავნეს სახალხო დეპუტატები დმიტრო პავლიჩკო, ივან დრაჩი, ლეს ტანიუკი და მე. უნდა შევხვედროდით უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქს ილია მეორეს და უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის მამამთავარ ვლადიმერთან შუამდგომლობა გვეთხოვა.**

როგორც ცნობილია, უკრაინის მართლმადიდებლობა რამდენიმე შეურიგებელ კონფესიადაა დაყოფილი. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი სწორედ ეს საპატრიარქოა, რომელიც მოსკოვს ექვემდებარება და ეროვნული წრეების მიერ დესტრუქციულ ძალად მოიაზრება. ჩვენი ჩანაფიქრით ილია მეორე მიტროპოლიტ ვლადიმერს უნდა გასაუბრებოდა და კიევის საპატრიარქოსთან გაერთიანება ერჩია.

ჩავფრინდით თბილისში. სანამ პატრიარქთან შეხვედრა შედგებოდა, უკრაინის ელჩმა სტეფანე ვოლკოვეცკიმ კახეთის მონახულება შემოგვთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკიდურესად გაპარტახებული იყო, სიღნაღელმა მასპინძლებმა თავი გამოიდეს და ჩვეული პურმარილით დაგვხვდნენ. პურობა ტრადიციულად დიდხანს გაგრძელდა და პატრიარქთან კინაღამ დაგვაგვიანდა. გვარიანად შეღამებული იყო, მის სასახლეს რომ მივადექით.უწმინდესი და უნეტარესი გულითადად შემოგვეგება.

გაიბა საუბარი. პავლიჩკო და დრაჩი დაჟინებით სთხოვდნენ მასპინძელს, გამოეყენებინა მართლმადიდებლურ სამყაროში თავისი დიდი ავტორიტეტი და ეკისრა შუამავლობა მათ გადამტერებულ მღვდელმთავრებს შორის. პატრიარქი გულმოდგინედ უსმენდა და მერე ჩვეული სიდინჯით წარმოთქვა: თქვენი ორივე მიტროპოლიტი სასულიერო აკადემიაში ჩემი მასწავლებელი იყო, დიდ პატივს ვცემ ერთსაც და მეორესაც, მაგრამ მედიატორად, ალბათ, ვერ გამოვდგები, ეს მხოლოდ თქვენი საშინაო პრობლემაა და იგი თავადვე უნდა გადაწყვიტოთ.

სანამ უკრაინელი სტუმრები პატრიარქის დასაყოლიებლად ახალ სვლებს ეძებდნენ, მოულოდნელად თავი ცუდად ვიგრძენი, ცივმა ოფლმა დამასხა და თვალებში ბურუსი ჩამიდგა.

**– თქვენ ცუდადა ხართ!** – მომესმა უცებ უწმინდესისა და უნეტარესის ხმა. ნეტავი, როგორ შეამჩნია, მე ხომ კუთხეში ვიჯექი და ხმას არ ვიღებდი! უარის თქმას აზრი არ ჰქონდა და მივუგე: **– დიახ, რატომღაც ვერა ვარ კარგად.**

**– ნუ გეშინიათ, ახლავე გაგივლით,** – თქვა მან და მდივანს სთხოვა, წნევის გასაზომი მოიტანეო. და აი, აქ შედგა ისეთი უნიკალური სცენა, ვინმეს რომ იგი ფირზე აღებეჭდა, მსოფლიო პრესის ფურცლებს მოივლიდა. პატრიარქმა სახელო ამაწევინა და მკლავზე ლახტი დამადო. მიზომავდა წნევას და თან მეუბნებოდა: **გლოცავთ და გარწმუნებთ, ახლავე კარგად გახდებით!..** უკრაინელებს თითქოს დაავიწყდათ, რაზეც იყვნენ მოსულები და ამ უცნაურ რიტუალს გაოცებით შესცქეროდნენ.

ალბათ, მართლაც შთამბეჭდავი სანახავი იყო, როგორ უზომავდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქართველ მწერალს არტერიულ წნევას. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მისი ნათქვამი ახდა. სისუსტემ რამდენიმე წუთში გამიარა, თითქოს არც არაფერი დამმართნია. ჩვენმა ძირითადმა მისიამ, სამწუხაროდ, ვერ გაამართლა, მაგრამ იმ არაჩვეულებრივ ვითარებაში აღვლენილმა ლოცვამ რაღაცნაირ განსაცდელს ნამდვილად ამარიდა...

**რაულ ჩილაჩავა,**

**აკადემიკოსი,**

**რუსთაველის პრემიის ლაურეატი.**

# თბილისი 2029 წელს პირველად უმასპინძლებს ძიუდოისტთა მუნდიალს



ამის შესახებ განცხადება თბილისის გრანდ სლემის გახსნის ცერემონიაზე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **მარიუს ვიზერმა** გააკეთა.

**„საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პატივცემულო წევრებო, ძვირფასო მაყურებლებო, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ოჯახის წევრებო და ჩვენო ოფიციალური პარტნიორებო: გვსურს გამოვხატოთ ჩვენი ღრმა და გულწრფელი სამძიმარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II-ის გარდაცვალების გამო. მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, ფედერაციას და სპორტის სამინისტროს მათი უწყვეტი მხარდაჭერისა და ძიუდოს განვითარებისთვის საქართველოსა და მთელ მსოფლიოში. მალე ხელს მოვაწერთ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გავაგრძელებთ თანამშრომლობას „დიდი სლემის“ ღონისძიებებზე და მოუთმენლად ველით 2029 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თბილისში ჩატარების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას“,** – თქვა ვიზერმა.

საქართველოში ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატი აქამდე არასდროს ჩატარებულა, სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის გამოცდილება თბილისს აქვს – 2009 წელს და გარდა ამისა, წელსაც, 16-19 აპრილს ევროპის ჩემპიონატი თბილისში გაიმართება.

რაც შეეხება გრანდ სლემს, ორ დღეში ჩვენმა გადახალისებულმა შემადგენლობამ 2 ბრინჯაო მოიპოვა: **თორნიკე გიგაურმა** (66 კგ) და **გიორგი ლოლაძემ** (73 კგ).

## გუშინ ტურნირის მასპინძლებმა ნავსი გატეხეს და ორ ფინალში იჭიდავეს



**90 კილოში ოქროს მედალი დისკვალიფიკაციამოხდილმა მსოფლიო ჩემპიონმა ლუკა მაისურაძემ მოიპოვა, რომელმაც ლიეტუველ, სერბ, ბელგიელ და უზბეკ მეტოქეთა ძლევის შემდეგ ფინალში ტიტულოვანი სერბი ნემანია მაიდოვი დაამარცხა, ხოლო ამავე კატეგორიაში ბრინჯაოს ლუკა ჯავახიშვილი აკაკი ჯაფარიძესთან ბრძოლაში დაეუფლა.**

**გუშინვე +100 კგ კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ირაკლი დემეტრაშვილმა. ამავე წონაში ბრინჯაოს საბა ინანეიშვილი დაეუფლა.**

## მაშველი რგოლი



**მას შემდეგ, რაც ტრავმირებული თორნიკე შენგელიას გარეშე დარჩენილმა კატალონიურმა გრანდმა ევროლიგის რეგულარული სეზონის 33-ე ტურში მნიშვნელოვანი გასვლითი ბრძოლა მოიგო (ვალენსია – ბარსელონა 62:66), ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველ მწვრთნელთა წარმატებები იქცევს.**

### ეფესი – მონაკო 93:98

**მანუჩარ მარკოიშვილს** რამდენიმე წლის წინათ უკვე მოუწია სამთავროელთა გუნდის თავკაცობიდან განთავისუფლებული **საშა ობრადოვიჩის** შეცვლა, ხოლო ამჯერად გაჭირვების ტალკვესის როლს **ვასილის სპანულისის** ნაცვლად ასრულებს და ღირსეულადაც.

ჩვენებურის სადებიუტო შეხვედრა მონეგასკებმა პირეოსის ოლიმპიაკოსს შინ უკანასკნელ წამებზე მოუგეს – 81:80, ხოლო ამჯერად სტამბოლში ეფესი გატეხეს – 98:93 და ფინიშამდე 5 ტურით ადრე პლეი-ოფში გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებენ.

### ჟალგირისი – რეალი 87:86

როგორც მოგეხსენებათ, ლიეტუველთა დამრიგებლის ასისტენტად **თიკა ფაცაცია** ვაჟი **ანდრია ანთელაძე** მოღვაწეობს, რაც კარგად მეტყველებს ამბიციურ ბალტიისპირელთა კვალიფიციური სტაფის ახალგაზრდა ქართველი წევრის პროფესიონალიზმზე. ასე რომ, მისი წვლილიც გამოსარჩევია მრისხანე რეალის ძლევაში.

**სატურნირო ცხრილი: ფენერბახჩე – 9, ოლიმპიაკოსი, ჰაპოელი – 11, რეალი, ვალენსია – 12, მონაკო, ცრვენა ზვეზდა, პანათინაიკოსი, ჟალგირისი, ბარსელონა – 14, დუბაი – 15, მილანი, მაკაბი – 16, ბაიერნი, ვირტუსი – 19, პარტიზანი – 20, პარიზი – 21, ეფესი– 22, ბასკონია – 23, ლიონი – 24 წაგება.**



## მოვიგეთ, მაგრამ...

**მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ პლეი-ოფში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ასპარეზობას გამოეთიშა.**

**ტიტე კალანდაძის** გუნდმა ისრაელის ნაკრებს მეორე თამაში მოუგო, მაგრამ იმ სხვაობით ვერ, რომელიც აწყობდა და ორი მატჩის ჯამში მარცხი განიცადა.

ჯერ ვთქვათ, რომ ორი დღის წინათ, პირველ შეხვედრაში საქართველო ისრაელთან 29:32 დამარცხდა, სამბურთიანი სხვაობით, გუშინ კი 30:28 მოიგო, ორბურთიანი სხვაობით, შესაბამისად, ეს საკმარისი არ გამოდგა.

საქართველომ პირველი ტაიმი დათმო (12:13), თუმცა, მეორე ნახევარში გაცილებით უკეთ ითამაშა და ახლოს იყო დამატებით დროსთან, რადგან ბოლო წუთზე 30:27-ს იგებდა, მაგრამ ისრაელელმა ხელბურთელებმა ბოლო შეტევა გოლით დაასრულეს და მომდევნო ეტაპის საგზური მოიპოვეს, სადაც ესპანეთს შეხვდებიან.

საქართველო კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. მოგეხსენებათ, ტიტე კალანდაძის გუნდმა 2024 და 2026 წლებში ზედიზედ ორჯერ ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ მიუღწეველი მიზანია.

**ამჯერად 8 გოლით საუკეთესო გიორგი ცხოვრებაძე იყო, 7 გოლი ნიკოლოზ კალანდაძის აქტივშია, 5 ირაკლი კბილაშვილის, 4 გიორგი ლაპიაშვილის, 3 მირიან გავაშელიშვილის, 2 ხაზეინ რუსტამოვის და 1 ლევან იმნაძის.**

## ნაკრებიც იწყებს

**გაზაფხული სანაკრებო ფეხბურთსაც ეწვია – 26 და 29 მარტს ვილი სანიოლის გაწვრთნილი ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდი ახალი სეზონის პირველ სპარინგებს შინ ისრაელთან და კაუნასში ლიეტუვასთან გამართავს, გუშინ კი ბიჭებმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გააცილეს უკანასკნელ გზაზე.**



ჯვაროსანთა 24-კაციან განაცხადში 1 დებიუტანტია – გრაცის შტურმის 23 წლის ნახევარმცველი **გიზო მამაგეიშვილი,** გამოძახებულთა სრული სია კი ასეთი გახლავთ.

**მეკარეები:** მამარდაშვილი, გუგეშაშვილი, კერესელიძე;

**მცველები:** კაშია, ლოჩოშვილი, გოგლიჩიძე, დვალი, გადრანი, ბერიაშვილი, გოჩოლეიშვილი, აზაროვი;

**ნახევარდაცვა-თავდასხმა:** კიტეიშვილი, ჩაკვეტაძე, მექვაბიშვილი, გაგნიძე, მამუჩაშვილი, მამაგეიშვილი, წიტაიშვილი, დავითაშვილი, კვერნაძე, კვარაცხელია, ზივზივაძე, გულიაშვილი, მიქაუტაძე.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა თბილისში გამომგზავრების წინ შესანიშნავი განწყობა ესპანურ ლა ლიგაში ვილიარეალის მაისურით სოსიედადის კარში გატანილი მორიგი ბურთითა და ასისტით შეიქმნა – 3:1.

იმავე საღამოს დიდი ბრძოლა გადაიტანეს ავსტრიის მოქმედი ჩემპიონის გრაცის შტურმის ქართველმა ნახევარმცველებმა **ოთარ კიტეიშვილმა** და **გიზო მამაგეიშვილმა**, ყვითელი ბარათებიც მიიღეს, მათმა კლუბმა კი 4-ქულიანი ლიდერობა უახლოეს მდევარ ზალცბურგთან ფრედ – 1:1 დასრულებული მატჩით შეინარჩუნა.

საინტერესო სიახლეა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური რაუნდის მხრივ, სადაც ერთმანეთს პარი სენ-ჟერმენი და ლივერპული უნდა შეხვდნენ. რაც შეეხება ახალ ამბავს, იგი უკავშირდება მერსისაიდელთა ძირითადი ბრაზილიელი მეკარის ალისონის მიღებულ მორიგ ტრავმას, ეს კი **მამარდაშვილ-კვარაცხელიას** მომავალ დუელს ნიშნავს.

ბუნებრივია, მამლუქთა როლების მორგებამდე თითოეულმა მათგანმა პრემიერლიგასა და ლიგა – 1-ში ჩააბარეს მორიგი გამოცდები: ბრაიტონი – ლივერპული 2:1, ნიცა – პსჟ 0:4. თუ პირველ შემთხვევაში ქართველ მეკარეს ვერაფერში დავადანაშაულებთ, მით უფრო დაამტკიცა საკუთარი მაღალი დონე კვარამ, რომელმაც ორი საგოლე შეტევა წამოიწყო, ამდენჯერვე დუემ იღორა და შედეგიანი პასი არ აღირსა და თითოჯერ მისი თაურის შემდეგ ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა მცველმა და დემბელეს მიკროოფსაიდის გამო გაუუქმდა გოლი.

სამაგიეროდ, მეორე დივიზიონში ითამაშეს ქართველმა ლეგიონერებმა შედეგიანად, მაგრამ თუ ფრანგულ ლიგა – 2-ში **ზურიკო დავითაშვილისგან** მსგავს ფაქტებს მიჩვეულნი ვართ (გოლი და ასისტი სენტ ეტიენის მოგებულ მატჩში ანისთან – 4:0), სასიამოვნოდ გაგვაკვირვა **ლუკა ლოჩოშვილის** პირველმა კარიერულმა დუბლმა მეორე გერმანულ ბუნდესლიგაში (ნიურნბერგი – კაიზერსლაუტერნი 3:0).

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

# განცხადება

### სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს, აკადემიის დაარსებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდა და წარმატებულ მეცნიერთათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიის მოსაპოვებლად:

**1. მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება** – ევგენი ხარაძის სახელობის პრემია (ფიზიკისა და ასტროფიზიკის დარგში)
**2. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება** – ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია (გეოლოგიის დარგში)
**3. საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება** – გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია (ტექნიკის დარგში)
**4. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება** – რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია (ქიმიური ტექნოლოგიის დარგში)
**5. ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება** – სერგი დურმიშიძის სახელობის პრემია (ბიოქიმიის დარგში)
**6. ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება** – ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის პრემია (ადამიანის ანატომიის, მორფოლოგიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში)
**7. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება** – ლეონარდე დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია (კულტურულ მცენარეთა გენეტიკასა და სელექციის დარგში)
**8. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება** – გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემია (ძველი ისტორიის დარგში)
**9. ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება** – აკაკი შანიძის სახელობის პრემია (ქართული ენისა და ფილოლოგიის დარგში)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიის (შემდგომში – პრემია) მოსაპოვებლად ახალგაზრდა და წარმატებული მეცნიერი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მისი ასაკი კონკურსის გამოცხადებისას არ უნდა აღემატებოდეს 40 წელს.

ახალგაზრდა და წარმატებული მეცნიერი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარადგინონ სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამეცნიერო საზოგადოებებმა, სამეცნიერო ცენტრებმა ან შესაბამისი დარგის წამყვანმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წარადგენენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

ერთსა და იმავე პირს, ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს კანდიდატის სამეცნიერო მიღწევების დახასიათებას;
ბ) მონაცემები კანდიდატის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV);
გ) დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი (ასლი);
დ) ძირითადი სამეცნიერო ნაშრომები (მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული შრომა ან შრომათა ციკლი);
ე) საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში);
ვ) საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში);
ზ) სტიპენდიების დამადასტურებელი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში);
თ) საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტების ელექტრონული ვერსია.

**მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2026 წლის 23 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. N52, ოთახი 320. საბუთები მიიღება ყოველი სამუშაო დღის 11⁰⁰-დან 17⁰⁰ საათამდე.**

**პრემიით დაჯილდოებულ ახალგაზრდა და წარმატებულ მეცნიერს გადაეცემა დაწესებული ფულადი ჯილდო 3000 ლარის ოდენობით და დიპლომი.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 2-99-00-52**

# მსახიობი ჩაკ ნორისი 86 წლის ასაკში გარდაიცვალა



**– ინფორმაცია ნორისის ოჯახმა მსახიობის Instagram გვერდის მეშვეობით გაავრცელა.**

ოჯახის თქმით, ნორისმა ბოლო წუთები ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარა.

**„ჩვენი საყვარელი ჩაკ ნორისი გუშინ დილით მოულოდნელად გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ გვინდა გარემოებები პირად სივრცეში შევინარჩუნოთ, გთხოვთ იცოდეთ, რომ ის ოჯახის წევრების გარემოცვაში მშვიდად იყო.**

**მსოფლიოსთვის ის იყო მებრძოლი მსახიობი და სიმტკიცის სიმბოლო. ჩვენთვის კი – ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა, საოცარი ძმა და ჩვენი ოჯახის გული.**

**მან იცხოვრა რწმენით, მიზანდასახულობით და იმ ადამიანების მიმართ ურყევი ერთგულებით, ვინც უყვარდა. თავისი საქმიანობით, დისციპლინითა და სიკეთით მან შთააგონა მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში და უდიდესი კვალი დატოვა უამრავი ადამიანის ცხოვრებაში“.**

# განცხადება

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 **ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.2 მემბრანოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.3 ბიოქიმიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ბ“);
**1.4 ბიოქიმიური ნეიროფარმაკოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ბ“);
**1.5 თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.6 ნეიროტოქსიკოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.7 გამოყენებითი რადიაციული კვლევების ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორის „ა“);
**1.8 რადიობიოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.9 ბიოფიზიკის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.10 ქცევისა და კოგნიტიურ ფუნქციათა ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.11 ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.12 ძილ–ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.13 გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.14 რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.15 მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.16 ბიოინფორმატიკის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.17 ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.18 ტკივილისა და ანალგეზიის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.19 თავის ტვინის ულტრა და ნანო არქიტექტონიკის ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ბ“);
**1.20 რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ–ანალიტიკური სერვისების ლაბორატორია** – ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);
**1.21 ნეიროენდოკრინოლოგიის ლაბორატორია –** ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

2. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სახელმწიფო ენასთან ერთად ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას (სასურველია ინგლისური), აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება კონკრეტული ლაბორატორიის ძირითადი თემატიკის მიმართულებით.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1 განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ივსება ადგილზე);
5.2 განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
5.3 უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5.4 დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5.5 კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
5.6 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებიდან ერთ–ერთის ასლი, რომელიც უკეთ ასახავს კონკურსანტის მეცნიერული მოღვაწეობის წარმატებებს;
5.7 ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
5.8 ლაბორატორიის მომავალი განვითარების ხედვა–პროგრამა;

6. ღია კონკურსის საფუძველზე ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, ამტკიცებს დირექტორი და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 5 წლის ვადით.

7. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა N14, II სართული, სამდივნო.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2026 წლის 20 აპრილის 18:00 საათამდე.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2026 წლის 22 აპრილს.

**საკონტაქტო პირები:**

**ნინო ემუხვარი (ელ.ფოსტა: ninaem@mail.ru) ;**
**მაია მახარაძე (ელ.ფოსტა: maiamakharadze11@gmail.com);**
**თამარ მათითაიშვილი (ელ.ფოსტა: matitaishvili.t@gmail.com);**
**მარიამ ირემაშვილი (ელ.ფოსტა: iremashvili50@mail.ru)**

# დენის გაძვირებას უკვე გადაჭრით ითხოვენ!

## რას აპირებს სემეკი?

**ენერგეტიკოსები და ბიზნესასოციაცია ელექტროენერგიის გაძვირებას თავგამოდებით ითხოვენ. ახალი ტარიფის დადგენის დრო ახლოვდება. მარტის ბოლოს სემეკმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომელიც ყველა შემთხვევაში, უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუკი ელექტროენერგია გაძვირდა, მოსახლეობა დარჩება უკმაყოფილო, ხოლო თუ არ გაძვირდა, მაშინ მთელი ენერგოსექტორი და მასთან დაახლოებული ბიზნესის ნაწილი.**

განახლებადი ენერგიების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **მაია მელიქიძე** ამტკიცებს, რომ თუ გამანაწილებელი ქსელის განახლება არ დაიწყება, ქვეყანაში გენერაციის დამატებითი ობიექტების აშენებაც აზრს დაკარგავს.

მისი თქმით, აუცილებელია, რომ ინფრასტრუქტურა მთლიანად გამოიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო მეტ კრიზისში შევალთ.

**„ვთქვათ, გაზაფხულს და შემოდგომას მეტ-ნაკლებად გავდივართ, ზამთარი და ზაფხული ყოველთვის იქნება პრობლემური. რაც უფრო მეტად გადავავადებთ, მით უფრო დავამძიმებთ მდგომარეობას. ეს არის კერძო სექტორის მიერ დანახული დღევანდელი მოცემულობა. ღრმად ვარ დარწმუნებული, სემეკი ძალიან სწორად ხედავს ამ რეალობას და არის ობიექტური, სამართლიანი, მიუკერძოებელი იმ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლის განხორციელების სასიცოცხლო, კრიტიკული და არსებითი მნიშვნელობა უდგას დღეს ენერგეტიკას. ამიტომ ველით, რომ აუცილებლად უნდა გაიზარდოს ტარიფი, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ ამ მოცემულობაში“**, – განაცხადა **მელიქიძემ.**

მოიმატებს თუ არა ელექტროენერგიის საყოფაცხოვრებო ტარიფი, ეს მარტის ბოლოს გადაწყდება, თუმცა ენერგეტიკოსები ამტკიცებენ, რომ დღეს ბაზარზე ელექტროენერგიის გაძვირების ყველანაირი საჭიროება არსებობს. ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი **დავით მირცხულავა** ამბობს, რომ ტარიფის ზრდის მთავარი მიზეზი ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაა. სექტორი მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას საჭიროებს, რაც ტარიფში უნდა აისახოს.

**„საქართველოში ინფრასტრუქტურას ნამდვილად ესაჭიროება განახლება, რეაბილიტაცია, ახალი ქსელების მშენებლობა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ტარიფი შესაბამისად უნდა გაიზარდოს, უამრავ კვანძში დღესაც არის პრობლემა, 40-50 წლის ტრანსფორმატორებია, რომელიც გასაახლებელია.**

**მესმის, რომ ეს საკმაოდ მძიმეა, მაგრამ უზარმაზარი კაპიტალდაბანდებებია დარგში საჭირო. აქედან გამომდინარე, ეს თანხა ყველამ უნდა გადაიხადოს. არ არის სასიამოვნო, მაგრამ ტარიფის გაზრდა ობიექტური რეალობაა და ალბათ გაიზრდება კიდეც“**, – აღნიშნა „ბიზნეს მედია ჯორჯიასთან“ საუბრისას **მირცხულავამ.**




სემეკი დროებით დადგენილი ტარიფის კორექტირებაზე გადაწყვეტილებას მარტის ბოლოს მიიღებს. მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე **დავით ნარმანია** ამბობს, რომ ამ ეტაპზე გარკვეული პარამეტრების დაზუსტება მიმდინარეობს, რაც საბოლოო გადაწყვეტილებაზე აისახება.

ელექტროენერგიის საყოფაცხოვრებო ტარიფის გაზრდის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **ლევან ვეფხვაძეც.** მისი თქმით, გარდა ინფრასტრუქტურის ჩანაცვლებისა, ტარიფის ზრდის წინაპირობას შესასყიდი ელექტროენერგიის ფასებიც ქმნის.

**„საყოფაცხოვრებო მომხმარებელზე როცა ვსაუბრობთ, ცხადია, აქ გასათვალისწინებელია ის ინფრასტრუქტურა, რომელიც გვაქვს. თუ ჩვენ დროულად ამ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციას არ განვახორციელებთ, ხუთი წლის მერე შეიძლება გვიან იყოს და შეიძლება მივიღოთ გათიშვები, ტრანსფორმატორები და ქსელები ვერ გაუძლებს იმ დატვირთვას, რომელიც მოსალოდნელია. შეიძლება, დღევანდელი 3-5 თეთრის ზრდა ვიღაცამ აღიქვას, რომ მტკივნეულია, თუმცა ხუთი წლის მერე შეიძლება უფრო გვეტკინოს ეს ყველაფერი, ვიდრე დღეს 3 და 5 თეთრის დამატებით გადახდა თითოეულ კილოვატ საათზე.**

**არის ორი კომპონენტი ტარიფის: ერთი არის შესასყიდი ელექტროენერგიის ფასი და თუ ბაზარზე ფასი გაიზარდა, რასაც ვერ იკმაყოფილებენ მარეგულირებელი სადგურებით, მაშინ უნდა შეივსოს ბაზრის ფასით. ბაზარზე ფასი გაზრდილია იმპორტის წილის მატების გამო და ჩვენ ვნახეთ, რომ წელს კოლოსალურად გაზრდილია იმპორტი.**

**მეორე კომპონენტი არის ინფრასტრუქტურის ნაწილი და საინვესტიციო ნაწილი ამ კომპანიების. თუნდაც პირველის გამო მოუწევს სემეკს ტარიფის ზრდა, თუმცა თუ ბარემ ერთიანად გავზრდით, იქნება კარგი“**, – განაცხადა საქართველოს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა.

**ბექა დანელია**



# დაუვიწყარი რუსლან რუსია

**ჩვენი გაზეთის შესანიშნავ მთავარ რედაქტორს, 90-იან წლებში მის გადამრჩენელს, დიდებულ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ რუსლან რუსიას გუშინ 75 წელი შეუსრულდებოდა.**

**ჩვენი დიდი რედაქციის ერთ-ერთი ლიდერი საკუთარ სახელს სიყვარულით, კაცობითა და კოლორიტული ფიგურისთვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებებითაც ამართლებდა. ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას ის ავტორიტეტი, რომლითაც ჟურნალისტთა საძმოში, საახლობლოსა და, საერთოდ, მთელ საქართველოში სარგებლობდა, მაგრამ კოლხი ვაჟკაცი განსაკუთრებით მაინც ოდაბადესა და სათიცარ აბაშას, თავის ულამაზეს ოჯახს შესციცინებდა.**

**ადვილი წარმოსადგენია, რარიგ გაიხარებდა ძვირფასი შთამომავლობის გამრავლებით, რომლებსაც, დარწმუნებულნი ვართ, ზეციური საქართველოდან ლოცავს.**

**ბატონო რუსლან, ძალიან გვენატრები!**

**მარადიული ნათელი და სანთელი შენს უკვდავ სახელს!**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

# მამობრივი ხელი იქიდანაც მოგვწვდება!

**ლიტერატურულ ალმანახ „ამერიმერს“ დაარსებიდან ბედი დაჰყვა – მისი გამოცემა დალოცა და საშობაო ვახშამზეც კი მიგვიწვია მთელი რედაქცია და რჩეული ავტორები.**




ახლაც მაქვს სახლში შენახული მისი ნაჩუქარი კომპიუტერული მოწყობილობა. უწმიდესისა და უნეტარესის თანადგომა დღემდე მოყვება ალმანახის გამოცემას.

ახლა რა გვეშველებას ვერ ვიტყვი, რადგან დარწმუნებული ვარ, მისი მამობრივი ხელი იქიდანაც მოგვწვდება! ქართველნო და საქართველოში მცხოვრებნო, პატივი მივაგოთ ამ უდიდებულეს პიროვნებას, რომელიც თითოეული ჩვენგანის სულიერი მამა იყო.

**„ამერიმერი“-ს რედაქციის სახელით, გამოცემის მთავარი რედაქტორი, მწერალი ვაჟა ჩორდელი.**

# დარგები, სადაც საქართველოში ყველაზე მაღალი ანაზღაურებაა

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2025 წლის III კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.4%-ით (214.9 ლარით) გაიზარდა და 2 271.6 ლარი შეადგინა.**

ამის შესახებ „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დადასტურდა შემდეგ დარგებში:

**ინფორმაცია და კომუნიკაცია** – 4 212.9 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5.9 პროცენტით);

**მშენებლობა** – 3 682.9 ლარი (გაიზარდა 15.2 პროცენტით);

**საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები** – 3 526.0 ლარი (გაიზარდა 10.7 პროცენტით);

**სამთო მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების** დამუშავება – 3 154.3 ლარი (გაიზარდა 30.6 პროცენტით).

2025 წლის III კვარტალში **ქალების საშუალო ხელფასი** – 1 797.4 ლარი, **ხოლო კაცების** 2 738.1 ლარი იყო. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 146.8 ლარი (8.9%) შეადგინა, ხოლო კაცებში – 287.1 ლარი (11.7%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

**2025 წლის III კვარტალში ბიზნესსექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 230.8 ლარით (10.5%) და 2 420.9 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციის და კომუნიკაციის სფეროებში (4 277.5 ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5.2 პროცენტით) და მშენებლობის (3 687.6 ლარი, გაიზარდა 15.1 პროცენტით).**

**2025 წლის III კვარტალში არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 187.4 ლარით (10.3%) გაიზარდა და 2 000.9 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი საშუალო ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში დასაქმებულებს.**

**საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვით რეგიონებში ლიდერობს თბილისი და მცხეთა-მთიანეთი“.**

# მესამე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია!..

**მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება რთული იქნება. უფრო მეტიც, შესაძლოა, ის უკვე დაწყებულია, უბრალოდ, ოფიციალურად ჯერ ასე არ გვიწოდებია,** – ამის შესახებ სერბეთის პრეზიდენტმა, **ალექსანდრ ვუჩიჩმა** განაცხადა.

მისივე თქმით, მსოფლიოში ნავთობის, გაზის, მინერალების, იშვიათი ლითონებისა და სხვა რესურსებისთვის ბრძოლა, დიდი ხანია, თვალსაჩინოა.

**„პირველ და მეორე მსოფლიო ომებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ორივე თავდაპირველად რეგიონული კონფლიქტების სახით დაიწყო. მხოლოდ მოგვიანებით ჩამოყალიბდა უფრო დიდი სამხედრო და პოლიტიკური ალიანსები, რომლებიც საბოლოოდ ერთმანეთს პირდაპირ შეეჯახნენ“,** – აღნიშნა მან Berliner Zeitung-თან ინტერვიუში.

მან ასევე განაცხადა, რომ რუსეთმა, შესაძლოა, ვერ შეძლოს უკრაინის წინააღმდეგ ომის მოგება ოთხწლიანი სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების შემდეგ, თუმცა ასევე „ნაკლებად სავარაუდოა“, რომ ის ომს წააგებს.

**„ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს სამხედრო დამარცხება შეუძლებელია. ჩემი აზრით, ვინც ამას არ აღიარებს, არასწორ გათვლებს აკეთებს“,** – აღნიშნა **ვუჩიჩმა.**

მისივე თქმით, ბევრი მოთამაშე ამჟამად, ძირითადად, დროის მოგებას ცდილობს, ამავდროულად კი უფრო ფართომასშტაბიანი შეტაკებებისთვის ემზადება.

# გმადლობთ სიკეთისთვის, ბატონო გიგა!



**ჩვენმა პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, ღვთივ განსვენებამდე რამდენიმე დღით ადრე კიდევ ერთხელ მოგვმართა ქართველ ხალხს და გვთხოვა, მივბაძოთ იესო ქრისტესთვის – სიკეთით, მადლმოსილებით, უკიდეგანო მიტევების ნიჭით.**

პატრიარქის ამ მოწოდების სიმაღლეზეა ყოველთვის ჩემი უძვირფასესი ადამიანი, ვისაც 24 მარტს დაბადების დღე აქვს. ეს ადამიანი გახლავთ უაღრესად კეთილშობილი, ადამიანთმოყვარე, სხვათა გაჭირვების გამზიარებელი, მართლაც მადლომოსილი და ღირსებით სავსე პიროვნება გრიგოლ (გიგა) გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე და საპარლამენტო მდივანი. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს და ყველა დედას ასეთი ღირსეული შვილები. ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ გიგა გიორგაძეს.

სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით,

**მანანა გურგენაშვილი.**

# ვახტანგ კახიძის „რეკვიემი“

**28 მარტს, 19:30 საათზე, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ვახტანგ კახიძის „რეკვიემი“ აჟღერდება.**

მუსიკალურ-კულტურული ცენტრის ინფორმაციით, კონცერტში, რომელსაც თავად ავტორი უდირიჟორებს, მონაწილეობას მიიღებენ: **თბილისის სიმფონიური ორკესტრი,** საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა, სოლისტი ბიჭუნა – **დაჩი ღლონტი,** ქალთა ვოკალური კვარტეტი – **სალომე კვალიაშვილი, ქეთევან ქართველიშვილი, ანა უსტიაშვილი, სალომე მაკარიძე,** მამაკაცთა ვოკალური სექსტეტი – **გედევან ჯინჭარაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ბადრი ჩიხიაშვილი, ლუკა წიკლაური, გიორგი კანანაძე, მერაბ სამყურაშვილი.**




# გიზაში, სფინქსის ქვეშ მიწისქვეშა ქალაქის კვალი აღმოაჩინეს

**იტალიელი ეგვიპტოლოგების ჯგუფმა გიზის პლატოზე მიწისქვეშა კომპლექსის არსებობის ნიშნები აღმოაჩინა. კვლევის ავტორების ყურადღება ძირითადად დიდი სფინქსის ქვეშ მდებარე ზონაზე იყო გამახვილებული.**

ეგვიპტოლოგ არმანდო მეის თქმით, ამ მონაკვეთის სკანირებისას სპეციალისტებმა ვერტიკალური შახტის არსებობა აღმოაჩინეს. მას სპირალური კიბე აქვს, რომელიც ორ მართკუთხა ოთახამდე მიემართება. ერთი ოთახი 600 მეტრზე მეტ სიღრმეზე მდებარეობს, მეორე კი 1200 მეტრის სიღრმეზე.

სტრათკლაიდის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ფილიპო ბიონდიმ დაადასტურა, რომ მიღებული მონაცემები ამყარებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც გიზაზე არსებული ნაგებობები დინასტიურ ეგვიპტემდე დიდი ხნით ადრეა აშენებული. თავად მეი მიიჩნევს, რომ გიზის პლატო დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 36 400 წელს შეიქმნა.



# მობრძანდით დღეს სახვითი ხელოვნების მუზეუმში




**დღეს, 23 მარტს, 17 საათზე,** ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიმართება წარდგენა წიგნისა – **„თემო ნაცვლიშვილი – 100“.** ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის ინფორმაციით, წიგნის გარდა მუზეუმში გამოიფინება სამი მედალი, რომლებიც თემო ნაცვლიშვილმა პატრიარქს მიუძღვნა.

**„თემო ნაცვლიშვილი – საქართველოს პატრიარქს.**

**თითქმის 50 წელიო – ყოველდღე გვახსენებენ ტელევიზიით, მაგრამ ეს 50 წელი, სულ ცოტა, 70 წელია! ილია II-ს პატრიარქობამდეც ბევრი რამ აქვს გაკეთებული – როგორც შემოქმედელ ეპისკოპოსს, როგორც სასულიერო სემინარიის რექტორს, როგორც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, 44 წლის იყო მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი, პატრიარქად რომ აირჩიეს.**

**და იმის მიუხედავად, რომ მე მას პატრიარქობამდეც ვიცნობდი, ილია II-ის აღსაყდრება 1977 წლის 25 დეკემბერს, დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებაა ჩემთვის. ასევე იყო მამაჩემისთვისაც. ჩვენ ერთად დავესწარით სვეტიცხოველში პატრიარქის ინტრონიზაციას.**

**მამაჩემმა იმდღევანდელ მოვლენას მემორიალური მედალი მიუძღვნა. მერეც ორჯერ მიუბრუნდა ამ თემას – პატრიარქის აღსაყდრების მე-20 და 25-ე წლისთავზე. თუ ზუსტად მახსოვს, მამაჩემმა ეს მედლები თავის დროზე ბრინჯაოში ჩამოასხმევინა და პატრიარქს ახლა.**

**სამივე ეს მედალი გამოიფინება ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში, სადაც 2026 წლის 23 მარტს, 17 საათზე გაიმართება წარდგენა წიგნისა „თემო ნაცვლიშვილი – 100“,** – წერს **პაატა ნაცვლიშვილი.**

# იაპონია პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ღეროვანი უჯრედებით თერაპია დაუშვა

**იაპონიაში პირველად დაუშვეს მკურნალობის მეთოდები გადაპროგრამებული ღეროვანი უჯრედების გამოყენებით, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ქსოვილად გარდაქმნას შეძლებენ.**

ქვეყნის მარეგულირებლებმა ერთდროულად დაამტკიცეს ორი ინოვაციური თერაპია - პარკინსონის დაავადებისა და გულის მძიმე უკმარისობის სამკურნალოდ. მოსალოდნელია, რომ ეს მეთოდები პაციენტებისთვის უკვე უახლოეს თვეებში გახდება ხელმისაწვდომი.



პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ ერთ-ერთ იაპონურ ფარმაცევტულ კომპანიას მიეცა ნებართვა პრეპარატ **Amchepry**-ის წარმოებისა და გაყიდვისთვის. მკურნალობა გულისხმობს ღეროვანი უჯრედების ტვინში გადანერგვას, რომლებიც დოფამინის გამომუშავებელი ნეირონების წინამორბედებად გარდაიქმნება – სწორედ ამ ნეირონების ნაკლებობა იწვევს პარკინსონის დაავადებას.

**კიოტოს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 50-69 წლის ასაკის შვიდი პაციენტი. თითოეულ მათგანს ტვინის ორივე ნახევარსფეროში 5-10 მილიონი უჯრედი ჩაუნერგეს. ორწლიანი დაკვირვების შედეგად სერიოზული გვერდითი ეფექტები არ გამოვლენილა, ხოლო ოთხ პაციენტში დაავადების სიმპტომების გაუმჯობესება დაფიქსირდა.**

იაპონიის ჯანდაცვის სამინისტრომ ასევე დაამტკიცა **ReHeart** თერაპია, რომელიც სტარტაპმა **Cuorips**-მა შექმნა. მეთოდი გულის ზედაპირზე ლაბორატორიაში გაზრდილი გულის კუნთის ქსოვილის ფენების გადანერგვას გულისხმობს. ეს ფენები ხელს უწყობს ახალი სისხლძარღვების ფორმირებას და გულის ფუნქციის გაუმჯობესებას.

**ორივე თერაპია შესაძლოა ბაზარზე უახლოეს თვეებში გამოჩნდეს და გახდეს მსოფლიოში პირველი კომერციულად ხელმისაწვდომი სამედიცინო პროდუქტები, რომელიც გადაპროგრამებულ ღეროვან უჯრედებს იყენებს.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 25 მარტს**